პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

15 თებერვალი სამშაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან № 38 (15251)

საქართველოს კომკავშირის XXIX ყრილობის შეხვედრისათვის

## ყრილობის დელეგატი რომან კუპუხიძე

ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში [illegible] რომან კუპუხიძე.

[illegible] XXIX ყრილობის დელეგატად.



ფოტოზე: [illegible] გამომცდელი სამქროს ამწყობი ზეინკალი, საქართველოს კომკავშირის XXIX ყრილობის დელეგატი რომან კუპუხიძე.

ფოტო გ. ბერსამიასი. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეჩაიეთა დიდი საზრუნავი

ხანგრძლივმა და მკაცრმა ზამთარმა განსაკუთრებით მძიმე პირობები შექმნა სოფლის მეურნეობაში. მინდვრის საზამთრო სამუშაოები შეფერხდა. მაგრამ სოფლად თავდადებული შრომა არ შეწყვეტილა. მიმდინარეობს გაზაფხულისათვის მზადება, მთელი ტექნიკის რემონტი და ხელსაყრელ დღეებს კარგად იყენებენ წარმოშობილი სიძნელეების დასაძლევად.

რესპუბლიკის სუბტროპიკულ რაიონებში დიდი ხანია ასეთი დიდთოვლობა და ყინვა არ ყოფილა. მეჩაიეობის რაიონებში ბევრგან პლანტაციების ნიადაგის ბარვისა და სასუქების შეტანის სამუშაოებმა გადაიწია თებერვლის ბოლოსა და მარტის დღეებისათვის. ეს იმაზე მიგვითითებს, რომ საჭიროა მთელი ძალების მობილიზება, რათა დამკვრელური შრომით მოკლე ვადებში შესრულდეს ჩაის პლანტაციების დამუშავების გეგმები.

საქართველოს მეჩაიეთა სასახელო შრომითი წარმატებები საქვეყნოდ არის ცნობილი. ისინი უკანასკნელ წლებში ტრადიციულად გადაჭარბებით ასრულებენ ჩაის კრეფის გეგმებსა და ვალდებულებებს. შარშან მათ სამშობლოს მისცეს 266 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული, რაც გეგმაზე 30 ათასი ტონით, ხოლო ვალდებულებაზე 16 ათასი ტონით მეტია.

ახლა, როცა მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელები, ახორციელებენ რა პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ემზადებიან სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, სახელოვან მეჩაიეებს კვლავაც მოუწევთ დიდი შემოქმედებითი შრომა იმისათვის, რომ წელს ქვეყანას მისცენ 280.000 ტონა „მწვანე ოქრო". ეს ვალდებულება უკვე ნაკისრი აქვთ რესპუბლიკის მეჩაიეებს, და, როგორც ყოველთვის, ახლაც სიტყვა არ უნდა გატეხონ.

ეს ვალდებულებანი აღებულია მეჩაიეობის რაიონებში არსებულ შესაძლებლობათა, მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი რესურსების ყოველმხრივ შესწავლისა და მდგომარეობის რეალური შეფასების შედეგად. ამ ვალდებულებათა განაღდება დიდი პასუხსაგები ამოცანაა. იგი მოითხოვს მიზანსწრაფულ და დაძაბულ მუშაობას. ამთავითვე უნდა გავიანგარიშოთ ყოველდღიურად შესასრულებელი სამუშაო. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ მეჩაიეობის რომელიმე რაიონი, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ვერ შეასრულებს დადებულ პირობას, ეს უთუოდ უარყოფითად იმოქმედებს რესპუბლიკის მეჩაიეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე.

ამიტომ მეჩაიეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები მოწოდებული არიან ყოველი ღონისძიებით უზრუნველყონ მშრომელთა ფართო მასების დარაზმვა დასახული ამოცანების განუხრელად შესრულებისათვის. საჭიროა შემდგომ სრულვყოთ და გავაფართოოთ სოციალისტური შეჯიბრება, სამეურნეო ხელმძღვანელთა მუშაობის ფორმები და მეთოდები, უფრო განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა.

ამას წინათ აჭარელმა მეჩაიეებმა იკისრეს რა გადიდებული ვალდებულებანი, მოუწოდეს რესპუბლიკის მეჩაიეებს უფრო ფართოდ გაჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება, წარმოებაში დანერგონ ყოველივე ახალი, პროგრესული და მიაღწიონ ახალ წარმატებებს. ჩვენ გვეამაყება ის, რომ მსოფლიო მეჩაიეობის ისტორიაში ჩვენს რესპუბლიკაში პროფესორ ქსენია ბახტაძის ხელმძღვანელობით პირველად არის შემუშავებული და პრაქტიკულად განხორციელებული ჩაის კულტურათა სელექციური ჰიბრიდები. ისინი ფართოდ დაინერგა წარმოებაში და ახლა ამ ახალი ჯიშების ათასობით ჰექტარი პლანტაცია გვაქვს. ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა მსოფლიოში პირველი ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო", რომლის ავტორებს ლენინური პრემია მიენიჭათ. ეს დიდებული მანქანები გუგუნებენ პლანტაციებში. შარშან ჩაის ფოთოლს კრეფდა 700-ზე მეტი „საქართველო".

სულ მალე გვესტუმრება მეცხრე ხუთწლედის მეორე წლის გაზაფხული, რომლის პირველ თვეს — მარტში დიდი და გადაუდებელი სამუშაოები უნდა შესრულდეს. უწინარეს ყოვლისა დაძლეულ უნდა იქნას ხანგრძლივი, სუსხიანი ზამთრით გამოწვეული ჩამორჩენა. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ ჩაის პლანტაციების ნიადაგის ბარვას, სასუქების შეტანას, სადრენაჟო ნაგებობათა გაწმენდას, ჩაის ბუჩქების გასხვლას, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დანერგვას. ახლავე უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ წელს მკვეთრად გავადიდოთ მანქანებით ჩაის საკრეფი პლანტაციების ფართობები და თვით ამ მანქანების წარმადობა.

მეჩაიეობის რაიონების მშრომელებმა სახალხოდ აღუთქვეს პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, რომ ისინი არ დაიშურებენ თავიანთ ცოდნას, ენერგიას ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. აფხაზეთის მეჩაიეებმა გადაწყვიტეს წელს მოკრიფონ და მრეწველობას ჩააბარონ 48,4 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 44,4 ათასი ტონისა. აჭარის მეჩაიეებმა პირობა დადეს სამშობლოს მისცენ 42 ათასი ტონა ჩაის ნედლეული ნაცვლად 37,2 ათასი ტონისა და საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე გაადიდონ 5.800 კილოგრამამდე, გადიდებული ვალდებულებები იკისრეს მახარაძის, ზუგდიდის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, ლანჩხუთის, წალენჯიხის, ჩოხატაურის, ცხაკაიას, ხობის და სხვა რაიონების მშრომელებმა.

მეცხრე ხუთწლედის ბოლოსათვის რესპუბლიკის მეჩაიეებმა ქვეყანას უნდა მისცენ 300 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული. ამ დიდი ამოცანის შესრულებისათვის ლაშქრობაში ჩაბმულია მეჩაიეობის თვითეული კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, ბრიგადა, რგოლი, თვითეული მეჩაიე, სოციალისტური შეჯიბრება ახალი ძალით შლის ფრთებს.

„საჭიროა ყოველნაირად ავამაღლოთ მშრომელთა აქტივობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საქმეში, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ". — გულმოდგინედ უნდა ვეცადოთ, რომ თვითეულ საწარმოო და სამეცნიერო კოლექტივში შევქმნათ მასობრივი შემოქმედებითი ძიების, ტექნიკური და მეცნიერული კონსერვატიზმისადმი, უძრაობისადმი შეუწყნარებლობის ატმოსფერო. შეჯიბრებამ ხელი უნდა შეუწყოს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის — მუშაობაში მაღალი მაჩვენებლებისათვის ბრძოლის ნამდვილად შემოქმედებითი სულისკვეთების შექმნის აუცილებელი პირობის გაუმჯობესებას".

რესპუბლიკის მეჩაიეთა ღირსების საქმეა გამოიჩინონ მტკიცე ნებისყოფა მოძალებული სამუშაოების მოკლე დროში მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. საჭიროა თვითეული ხელსაყრელი დღე და საათიც კი მაქსიმალურად იქნას გამოყენებული, გაზაფხული კარს მოგვადგა. მთელი ძალები დავრაზმოთ დადებული პირობის განაღდებისათვის. ამ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს კვლავაც სათავეში უნდა ჩაუდგნენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები, კომკავშირელები და გვიჩვენონ შემოქმედებითი, ორგანიზატორული მუშაობის საუკეთესო ნიმუშები.

ეს არის ახლა მეჩაიეთა წინაშე დასახული სადღეისო ამოცანა და იგი წარმატებით უნდა გადავჭრათ. ეს იქნება საქმით პასუხი პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

საქდესის ცნობა

## მიფრინავს ავტომატური სადგური „ლუნა-20"

კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამის შესაბამისად 1972 წლის 14 თებერვალს 6 საათსა და 28 წუთზე მოსკოვის დროით საბჭოთა კავშირში გაუშვეს ავტომატური სადგური „ლუნა-20".

ფრენის მიზანია მთვარისა და მთვარისარგვლივი სივრცის შემდგომი მეცნიერული გამოკვლევა.

სადგური მთვარისაკენ გაშვებულია დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტიდან. სადგური მოძრაობს ტრაექტორიით, რომელიც გაანგარიშებულს უახლოვდება.

სადგურის საბორტო ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების თანახმად, სადგურის სისტემები და აგრეგატები ნორმალურად მუშაობენ. დედამიწის საკომანდო-საზომი კომპლექსის საშუალებებს სადგურთან მყარი რადიოკავშირი აქვთ. საკოორდინაციო-გამომთვლელი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

# დაწინაურდნენ

## ჯილდო დაიმსახურეს

თბილისი. შარშან კარგი მუშაობით თავი ისახელა ტრესტ „თბილმრეწვმშენის" № 7 სპეციალიზებული სამშენებლო სამმართველოს (უფროსი გ. ჩხაიძე) კოლექტივმა, რომელმაც რამდენჯერმე გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ახლახან მშენებლებმა მოსკოვიდან სასიხარულო ცნობა მიიღეს. მეოთხე კვარტალის შედეგებით მათ ზედიზედ მეორედ მოიპოვეს სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროსა და მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია. მშენებლებმა მეოთხე კვარტალში გეგმის გადამეტებით 66 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეასრულეს.

სამმართველოს კოლექტივმა წარმატებით დაამთავრა ახალი სამეურნეო წლის პირველი თვეც, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 120 ათასი მანეთისა 130 ათასი მანეთის სანტექნიკური სამუშაოები შეასრულა დედაქალაქის სამრეწველო ობიექტების მშენებლობებზე.

## ზეგეგმითი ელექტრომანქანები

ქუთაისი. (საკ. კორ.). ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების იანვრის დავალება და ერთ თვეში 81 ათასი მანეთით გადაამეტა რეალიზაციის გათვალისწინებულ მოცულობას.

აქ დავალება განაღდებულია ნომენკლატურის მიხედვითაც. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 3 ცალი ჩასაძირი ელექტროძრავი, თითო ცალი არტეზიული წყალსატუმბავი და ელექტროცენტრიდანული ტუმბო, 73 ცალი საშახტო ელექტროლამპარი და სხვა მოწყობილობა. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების დავალება.

## მარმარილო გეგმის გადამეტებით

თელავი. (საკ. კორ.). ფიქალ-მარმარილოს კომბინატმა (დირექტორი თ. ბახსოლიანი) პროდუქციის გამოშვების იანვრის გეგმა 101 პროცენტით შეასრულა და ათასობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცა სამშობლოს. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე პროდუქციის რეალიზაციის გეგმა.

პროდუქციის წარმოების გეგმების შესრულებაში თავი ისახელეს მარმარილოს სახერხი და სამსხვრევი ქარხნების (უფროსები ზ. კაპანაძე და გ. გიორგანაშვილი) კოლექტივებმა. მოწინავე მუშებმა ლ. ნაცვლიშვილი, გ. ხუტიაშვილი, გ. ჭიკაძე, ჯ. კობიაშვილი, გ. სუხიტაშვილი, დ. ველიაშვილი, გ. ჩიტიაშვილი ხუთი დღის დავალებას ოთხ დღეში ასრულებენ.

კომბინატის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებაა წლიური გეგმა 25 დეკემბრისათვის შეასრულონ.

## ვალდებულების ანგარიშში

ახმეტა. (საკ. კორ.). მაღალი ტემპით დაიწყო მეცხრე ხუთწლედის მეორე წელი ახმეტის საკონსერვო ქარხნის (დირექტორი ა. ყურაშიძე) კოლექტივმა. პროდუქციის გამოშვების იანვრის გეგმა ქარხანამ 102,7 პროცენტით შეასრულა, რეალიზაციისა — 150 პროცენტით, ხოლო მოგებისა — 166 პროცენტით. იანვარში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 450 ათასი ქილისა გამოშვებულია 521 პირობითი ქილა კონსერვი.

მეკონსერვეებმა ვალდებულების ანგარიშში გამოუშვეს 21 ათასი ქილა კონსერვი.

წარმატებით დაიწყო თებერვლის პირველი დეკადაც — პროდუქციის გამოშვების ყოველდღიური გეგმა საგრძნობი გადამეტებით სრულდება, რაც იმის საწინდარია, რომ ქარხნის მშრომელთა კოლექტივი გადაჭარბებით შეასრულებს 1972 წლის სოციალისტურ ვალდებულებას.

## პირველი კვარტალის გეგმები შეასრულეს

რესპუბლიკის ბევრმა რაიონმა ვადაზე დიდი ხნით ადრე გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით ბოგდანოვკის რაიონმა სახელმწიფოს მიჰყიდა 2.659 ცენტნერი ხორცი ნაცვლად 2.550 ცენტნერისა, თეთრი წყაროს რაიონმა — 3.037 ცენტნერი ნაცვლად 2.760 ცენტნერისა.

სახელმწიფოს ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა დუშეთის რაიონში შესრულებულია 133 პროცენტით, მცხეთის — 130 პროცენტით, ონის — 115 პროცენტით, თიანეთის — 304 პროცენტით; სიღნაღის — 100,7 პროცენტით, ხოლო ტყიბულში — 130 პროცენტით.

## უწუნოდ, უდეფექტოდ

თბილისი. № 1 სამკერვალო ფაბრიკაში ძირითადად ახალგაზრდები მუშაობენ. ჩამოყალიბებულია კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები, რომელთა შორის სოციალისტურ შეჯიბრებას სწორად წარმართავს კომკავშირის კომიტეტი (მდივანი ი. ბოჭორიშვილი). ფაბრიკაში უკანასკნელ ხანს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. შედეგმაც როდი დააყოვნა. აქაურ პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა, განსაკუთრებით ბავშვის ასორტიმენტზე. საწარმო ყოველთვიურად გადაჭარბებით ასრულებს პროდუქციის რეალიზაციის დავალებას.

ფაბრიკის საერთო წარმატებაში ღირსეული წვლილი მიუძღვის კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადას, რომელსაც ლ. გოზალიშვილი ხელმძღვანელობს. ეს შრომითი კოლექტივი ატარებს საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავის სახელს. მუყაითმა შრომითმა კოლექტივმა იანვრის გეგმა 113,7 პროცენტით გაანაღდა და 98,5 პროცენტი პირველი ხარისხის პროდუქცია გამოუშვა, გეგმა კი 96,5 პროცენტს ითვალისწინებდა.

მოწინავე ბრიგადას მხარდამხარ მიჰყვება მკერავთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც რ. ტარიელაშვილი ხელმძღვანელობს. აღსანიშნავია, რომ ბრიგადა მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას უშვებს და უკანასკნელი სამი წელია არც ერთი რეკლამაცია არ მიუღია. შარშან ბავშვის ქვედა მოდელს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა. გადაწყვეტილია ეს პროდუქცია მასობრივად რ. ტარიელაშვილის ბრიგადამ გამოუშვას.

საწარმოს კომკავშირელები კიდევ უფრო აძლიერებენ შრომის ტემპს, ახალ შრომითს საჩუქრებს უმზადებენ საქართველოს კომკავშირის XXIX ყრილობას.

რ. ჰელიძე.

## ახალგაზრდობა მოწინავე ხაზზე

თბილისის ტყავსაგალანტერეო ფაბრიკა 86 დასახელების პროდუქციას უშვებს და მათზე მომხმარებელთა დიდი მოთხოვნილებაა. პროდუქციას ძირითადად ახალგაზრდები ქმნიან.

ოთხი კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა ეჯიბრება ერთმანეთს უკეთესი შრომითი მაჩვენებლების მოპოვებისათვის. შეაჯამეთ ხუთწლედის მეორე წლის პირველი თვის შედეგები. დაწინაურდა მსუბუქი ჩემოდნების ბრიგადა, რომელსაც თენგიზ შარაშენიძე ხელმძღვანელობს. აღსანიშნავია, რომ ხარისხის ნიშანზე წარდგენილი ჩემოდანი ამ ბრიგადაში უნდა შეიკეროს.

კომკავშირის კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს ყრილობის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ ბრიგადას ყრილობის სახელი მიანიჭოს.

გ. გიორგობიანი, ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

# ჩვენს დიად სამშობლოში

## საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობა

ფართოვდება საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობა გამოსათვლელი ტექნიკის გამოყენების დარგში. 1972-1973 წლების ერთობლივ სამუშაოთა პროგრამას იხილავს ორივე ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებების, სამეცნიერო ინსტიტუტებისა და სამრეწველო საწარმოების და ფირმების წარმომადგენელთა თათბირი, რომელიც 14 თებერვალს გაიხსნა მოსკოვში.

თანამშრომლობა მოიცავს ეკონომიკის ცალკეული დარგების, საწარმოების დაგეგმვისა და მართვის, ახალი ტექნიკის შემუშავების, კადრების მომზადების, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ძიების ავტომატიზაციის საკითხებს და სხვა დარგებს.

„ირი-ს-50" ახალი ფრანგული ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანის შესაძლებლობებს სწავლობენ ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს ერთ ინსტიტუტში, სადაც ამ მანქანას იყენებენ ამ დარგის ზოგიერთი ამოცანის გადასაწყვეტად. თანამშრომელ ორგანიზაციებს შორის არიან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების გამოთვლითი ცენტრი და საფრანგეთის ინსტიტუტი „ირია", რომლებიც აწარმოებენ კვლევას ამინდის პროგნოზირების მათემატიკური მეთოდების დანერგვისათვის. მიღწეულია შეთანხმება „სინტრას" ფირმასთან ერთად ახალი მასწავლებელი მანქანების შექმნის შესახებ, რომლებსაც გამოიყენებენ ორივე ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში. (საქდესი).

## სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის გამგზავრება

სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით 13 თებერვალს მოგადიშოში გაემგზავრა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო. (საქდესი).

## მხოლოდ ნიაზღენი

● ლენინგრადი. კოლპინოში ამუშავდა სამკერვალო ფაბრიკა. იგი ლენინგრადის მაღაზიებს იმ სახეობათა ტანსაცმლით მოამარაგებს, რომლებზეც განსაკუთრებით დიდი მოთხოვნაა. ფაბრიკის სიმძლავრე 600 ათასი ნაწარმია წელიწადში.

● მარი (თურქმენეთის სსრ). საექსპლოატაციოდ გადასცეს 66 კილომეტრი სიგრძის კალა-ი-მორ-კუშკის მაღალი ძაბვის ხაზი. ახალი ელექტროგადამცემი ხაზის ამოქმედება იმის საშუალებას იძლევა, რომ მიმდინარე წელს კუშკა და სამხრეთ თურქმენეთის სხვა დასახლებული პუნქტები გადავიდნენ შუა აზიის ენერგოსისტემის ცენტრალიზებულ ელექტრომომარაგებაზე.

● ირკუტსკი. ანგარის მარჯვენა ნაპირზე საძირკველი ჩაეყარა ირკუტსკის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის დარგთაშორისი ცენტრის შენობას. ეს ქალაქის მომავალი ახალი კულტურული ცენტრის პირველი ობიექტია, რომელიც ირკუტსკის განვითარების გენერალური გეგმის შესაბამისად შენდება.

## სამთო ტრაქტორი

დუშანბე. (საქდესის კორ.). ზღვის დონიდან სამი ათას მეტრამდე და უფრო მაღლაც მდებარეობს ტაჯიკეთში მიწათმოქმედების ზონა. როგორ გააფართოონ მთებში მომუშავე ტრაქტორების შესაძლებლობანი? ცნობილია, რომ სიმაღლეზე ძრავების სიმძლავრე მნიშვნელოვნად მცირდება ჰაერის გაიშვიათების გამო.

ტაჯიკეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცნიერებმა წამოაყენეს წინადადება, რომ ტრაქტორზე დაიდგას ბენზინიანი ავზი. ბენზინს კარბურატორში მილით მიაწვდიან. ჰაერისა და ბენზინის ნარევი ხელს უწყობს დიზელის საწვავის სრულ წვას. ძრავა უფრო მძლავრი ხდება.

უკვე მიმდინარე წელს რესპუბლიკის ვრცელ მთიან ტერიტორიაზე — კარატეგინის მეურნეობებში — ამ რეკომენდაციებს გამოიყენებენ.

## არმიის პარტორგანიზაციათა მდივნების შეკრება

დამთავრდა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ნაწილების პარტიული კომიტეტებისა და პარტბიუროების მდივნების ხუთდღიანი შეკრება, რომელიც თბილისის ოფიცერთა სახლში მიმდინარეობდა.

შეკრების მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებანი — ოლქის სამხედრო საბჭოს წევრის — პოლიტსამმართველოს უფროსის გენერალ-ლეიტენანტ ა. გ. შელეპინისა — არმიის პირველადი პარტიული ორგანიზაციათა აქტივობისა და მებრძოლურობის ამაღლება სკკპ XXIV ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად, კომუნისტებისა და მთელი პირადი შემადგენლობის დარაზმვა სსრ კავშირის 50 წლისთავის შექმნის ღირსეული შეხვედრისათვის; ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის პირველი მოადგილის სატანკო ჯარების გენერალ-მაიორის ნ. ა. ბარკოვისა — პარტიული ორგანიზაციების მუშაობა ამიერკავკასიის მეომართა სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ; პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილის პოლკოვნიკ ა. ი. ბუიახჩევისა — პარტორგანიზაციების იდეოლოგიური მდგომარეობა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ამოცანები და სხვ.

პარტორგანიზაციათა მდივნების წინაშე გამოვიდნენ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-ლეიტენანტი ვ. კ. ანდრიუშჩენკო, სამხედრო ოლქის შტაბისა და პოლიტსამმართველოს სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

შეკრების მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება.

პარტორგანიზაციების მდივნებმა მონაწილეობა მიიღეს თეორიულ სემინარში თემაზე „პარტიული მშენებლობის ლენინური პრინციპები და მათი შემოქმედებითი განვითარება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში".

შეკრების დასასრულს მონაწილეთა წინაშე გამოვიდა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი პ. ვ. მელნიკოვი.

(საქდესი).

უკანასკნელი ამბები

მსოფლიო დღეს

## იხილავენ გენერალურ კურსს

კაირო. 14 თებერვალი. (საქდესი). როგორც მენის სააგენტო იუწყება, პრეზიდენტმა ანვარ სადათმა გამართა მთელი რიგი თათბირები ქვეყნის უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელებთან.

განიხილეს ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის საკითხები და გენერალური კურსი ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის ბრძოლის ახლანდელ ეტაპზე.

## ჯ. ლინდსეი აკრიტიკებს

ნიუ-იორკი. 14 თებერვალი (საქდესი). ნიუ-იორკის მერმა ჯ. ლინდსეიმ, რომელსაც სურს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელონ დემოკრატიული პარტიისაგან, გაბედულად გააკრიტიკა ოფიციალური ვაშინგტონის სავიეტნამო პოლიტიკა და მოითხოვა დაუყოვნებლივ დათქვან სამხრეთ ვიეტნამიდან ამერიკის მთელი ჯარების სრული და საბოლოოდ გაყვანის ზუსტი თარიღი.

ტელევიზიით გამოსვლისას მან განაცხადა: „ვიეტნამელ ხალხს, ბოლოს და ბოლოს, უნდა მიეცეს შესაძლებლობა თვითონ განაგებდეს საკუთარ საშინაო პრობლემებს". ჯ. ლინდსეიმ აღნიშნა, რომ შეუწყნარებელია ომის ესკალაცია საიგონის ანტიხალხური რეჟიმის დაცვის ინტერესებისათვის.

როგორც ხაზი გაუსვა მერმა, შეერთებულ შტატებში გამწვავებული „ქალაქების კრიზისი" მნიშვნელოვანწილად იმით არის გამოწვეული, რომ ფედერალური მთავრობის მწარმოებლური ხარჯების ზრდის შედეგად საკმარისი არ არის სახსრები.

## ამერიკის დელეგაცია პეკინში

ნიუ-იორკი. 14 თებერვალი. (საქდესი). თეთრმა სახლმა გამოაცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის შემადგენლობა.

პრეზიდენტ რ. ნიქსონთან ერთად გაემგზავრებიან სახელმწიფო მდივანი უ. როჯერსი, პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საქმეში გ. კისინჯერი, პრეზიდენტის სამხედრო მრჩეველი ბრიგადის გენერალი ბ. სკაუკროფტი, პრესის საკითხთა მდივანი ზიგლერი და სხვა პირნი.

## სოლიდარობის დემონსტრაცია

პარიზი, 14 თებერვალი. (საქდესი). ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლი ინდოჩინეთის გმირი ხალხებისადმი სოლიდარობის მრავალათასიანი დემონსტრაცია გაიმართა დღეს პარიზში.

იგი მოეწყო საფრანგეთის ორმოცდაათი პროგრესული პარტიის, პროფკავშირის, დემოკრატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მოწოდებით, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ინდოჩინეთის ხალხთა მშვიდობისა და დამოუკიდებლობის მსოფლიო ასამბლეას.

დემონსტრანტთა მძლავრი კოლონები შეიკრიბნენ რესპუბლიკის ძველ მოედანზე.

კოლონების თავზე მოჩანს უზარმაზარი ტილო ლოზუნგით: „შეწყვიტეთ დაბომბვა!", „გამოიყვანეთ ამერიკის ჯარები ინდოჩინეთიდან!", დემონსტრანტებს მოაქვთ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ალმები, ტრანსპარანტები წარწერით: „სოლიდარობა ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის ხალხებს", „ამერიკელებო, გაეცალეთ ინდოჩინეთს".

საფრანგეთის საზოგადოებრიობის დიდი გამოსვლები ინდოჩინეთში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის დაუყოვნებლივ შეწყვეტის ლოზუნგით გაიმართა აგრეთვე სხვა ქალაქებში.

## დაბომბვა გრძელდება

ნიუ-იორკი, 14 თებერვალი. (საქდესი). შეერთებული შტატები განაგრძობს ინდოჩინეთის ტერიტორიის მასირებულ დაბომბვას. „ნიუ-იორკ ტაიმსის" საიგონელი კორესპონდენტი ჰ. უიტნი იუწყება, რომ გრძელდება სამხრეთ ვიეტნამის დაბომბვა. კორესპონდენტი ხაზს უსვამს, რომ ინდოჩინეთში მყოფ თვითმფრინავებს შეერთებული შტატების ბაზებიდან დამატებით გაეგზავნა „ბ-52" ტიპის 42 მძიმე ბომბდამშენი — 30 გუამის კუნძულზე და 12 ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების ტაილანდის ბაზაზე.

## კონტრაბანდისტი მლოცველები

ბამაკო, 14 თებერვალი. (საქდესი). ნიგერის საბაჟო ხელისუფლებმა აღმოაჩინეს, რომ ზოგიერთი მლოცველი მექის „წმინდა ადგილებში" მოგზაურობას იყენებს კონტრაბანდისათვის.

„წმინდა ადგილებიდან" დაბრუნებულ მლოცველთა ბარგის დათვალიერებისას უკანასკნელ ხანს აღმოჩნდა ხუთი კილოგრამი ოქრო, 11 თოფი, პისტოლეტი, რამდენიმე ათასი ვაზნა, ბევრი ძვირფასეულობა, რადიომიმღებები და მაგნიტოფონები.

როგორც ნიამეიდან იუწყებიან, ამასთან დაკავშირებით მთავრობამ გადაწყვიტა მკაცრი ღონისძიებანი განეხორციელებინა საბაჟო კონტროლის გასაძლიერებლად და შემოიღო დიდი ბაჟი წინათ ბაჟისაგან თავისუფალ ზოგიერთ საქონელზე.

## ზამთარი ირანში

თეირანი. 14 თებერვალი. (საქდესი). სუსხიანი ზამთარია წელს ირანში. ყინვების შედეგად, რომელიც ძლიერ თოვას მოჰყვა, ქვეყნის ჩრდილოეთ და დასავლეთ რაიონებში დაიღუპა 60 კაცი.

ნამქერების გამო მაღალი მთის გზაზე, რომელიც კასპიის ზღვის სანაპიროს აკავშირებს თეირანთან, დაახლოებით 4 ათასი მგზავრი და ავტომანქანების მძღოლი დარჩა.

სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალნი საშველ ოპერაციებს აწყობენ, რისთვისაც იყენებენ ვერტმფრენებს, ბულდოზერებს და სხვა ტექნიკას.

მსოფლიო დღეს

უკანასკნელი ამბები

# მასების კონტროლით!

სახალხო კონტროლის გვერდი № 61

## საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა განიხილა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სატვირთო ავტომობილების გამოყენებაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა საკითხი. კომიტეტმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში გაიზარდა წვრილი, საწარმოო ბაზას მოკლებული არარენტაბელური ავტომეურნეობების რაოდენობა. 1971 წლისათვის რესპუბლიკაში ირიცხებოდა 13.618 სატვირთო ავტომობილი, რომლებიც დაქსაქსულია 3985 წვრილ (1-დან 9 მანქანამდე) საავტომობილო მეურნეობებში.

საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების უმრავლესობამ დღემდე არა მარტო არ გაამსხვილა წვრილი ავტომეურნეობები დაწესებულ ვადებში (1970 წლის ბოლომდე), არამედ ასეთი ავტომეურნეობების რაოდენობა 1964 წელთან შედარებით 2.117 ერთეულით, ანუ 43 პროცენტით გაიზარდა. ამჟამად ავტომეურნეობების საერთო რაოდენობის 80 პროცენტი წვრილია, მათგან ერთ მეოთხედ ნაწილში ირიცხება მხოლოდ თითო სატვირთო ავტომანქანა.

ამასთან კომიტეტმა აღნიშნა, რომ მაღალია ავტომობილების ცარიელ გარბენათა რიცხვი. იგი საშუალოდ რესპუბლიკაში 48,1 პროცენტს შეადგენს. არადამაკმაყოფილებლად იყენებენ საავტომობილო პარკის ტვირთამწეობასაც. თითქმის 1968 წლის დონეზე დარჩა ავტომობილების მუშაობის საშუალოდღიური ხანგრძლივობა. ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია სატვირთო ავტომობილების მოცდენები მთელი დღის განმავლობაში.

დაბალია ავტომობილების საექსპლოატაციო სიჩქარე, განსაკუთრებით ავტოსატრანსპორტო საწარმოებში, რომლებიც მომსახურებას უწევენ საქართველოს სსრ მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროების კარიერებს. ეს გამოწვეულია მისასვლელი და საკარიერო გზების ცუდი მდგომარეობით. სამინისტროებისა და უწყებების ავტომეურნეობებში გამოვლინებულია სატვირთო ავტომობილების არადამაკმაყოფილებლად გამოყენების, აღრიცხვის მოუწესრიგებლობისა და უკონტროლობის ფაქტები. ასე, მაგალითად, ავტოტრანსპორტისა და მექანიზაციის ქუთაისის სამმართველოში (უფროსი კაკაურიძე), „აფხაზხილბოსტანის“ სამმართველოს სოხუმის გარაჟში (უფროსი ხარაიშვილი), „აჭარსოფლტექნიკის“ ბათუმის № 5 ავტოსატრანსპორტო საწარმოში (უფროსი ხალვაში), „საქსოფლტექნიკის“ ზუგდიდის № 8 ავტოსატრანსპორტო საწარმოში (უფროსი ჯლარკავა), ტრესტ „საქნავთის“ ლილოს ავტოსატრანსპორტო კანტორაში (უფროსი ტუხაშვილი), „საქკონსერვხილბოსტანის“ თბილისის ავტოგარაჟში (უფროსი ტაბლიაშვილი), გაზის აპარატურის სოხუმის ექსპერიმენტალურ ქარხანაში (მთავარი ინჟინერი სეისიანი, დირექტორის მოადგილე ბაბილუა) არ არის დაწესებული სათანადო კონტროლი ავტოტრანსპორტის მუშაობისადმი, მოუწესრიგებელია აღრიცხვა, უხეშად ირღვევა საგზაო ფურცლებისა და სასაქონლო-სატრანსპორტო ზედდებულების გაცემისა და გაფორ-

# ეფექტურად გამოვიყენოთ ტრანსპორტი

მების წესი, ხოლო ზოგიერთში ადგილი აქვს სატვირთო მანქანების ანგარებითი მიზნებით გამოყენების შემთხვევებს.

სარგებლობენ რა უკონტროლობით, ცალკეული უპატიოსნო, განსაკუთრებით მცირე ავტომეურნეობებში მომუშავე მძღოლები უხეშად არღვევენ ექსპლოატაციის წესებსა და შიდაგანაწესს, არ შედიან გარაჟში სამუშაოს დამთავრების შემდეგ, მანქანებს აყენებენ საკუთარი სახლების ეზოებში და იყენებენ პირადი გამორჩენისათვის. ასე, მაგალითად, ვორონეჟის ავტოინსპექციის მიერ ვორონეჟის ოლქში გამავალ ტრასაზე 1971 წლის 2-18 ივლისს ჩატარებული რეიდის შედეგად დაკავებული იყო ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა სამინისტროს და უწყებების კუთვნილი 39 სატვირთო ავტომობილი, რომლებიც კერძო ტვირთს ეზიდებოდნენ. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკებმა 1971 წლის პირველ ნახევარში დააკავეს 2700-ზე მეტი მძღოლი, რომლებიც სახელმწიფო ტრანსპორტს პირადი გამორჩენის მიზნით იყენებდნენ.

სატვირთო ავტომობილების არადამაკმაყოფილებლად გამოყენებას ხელს უწყობს ისიც, რომ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მიერ ჯერ კიდევ სუსტად არის ორგანიზებული საქალაქთაშორისო ცენტრალიზებული გადაზიდვები.

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭომ, მშრომელთა დეპუტატების სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის, მახარაძის, ზუგდიდის, ახმეტის, წითელწყაროსა და ყვარლის რაიონული საბჭოების აღმასკომებმა დღემდე არ გამოუყვეს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მიწის ნაკვეთები სატვირთო ავტოსადგურების მშენებლობისათვის. მოქმედი სატვირთო ავტოსადგურების უმრავლესობა (თბილისი, ბათუმი, სოხუმი, ახალციხე, მარნეული, თელავი, ცხაკაია) განლაგებულია შეუფერებელ სათავსებში, არ გააჩნია ელემენტარული პირობები ნორმალური მუშაობისათვის, არ არის განვითარებული სატრანსპორტო-საექსპედიციო საწარმოთა, სააგენტოებისა და სადისპეტჩერო-საკონტროლო პუნქტების ქსელი, რის შედეგად საქალაქთაშორისო გადაზიდვებში წინანდებურად მონაწილეობენ სხვადასხვა უწყებრივი დაქვემდებარების სატვირთო ავტომობილები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ცალმხრივი ტვირთით მოძრაობს.

ზემოჩამოთვლილი ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები არ იღებენ სათანადო ზომებს სახალხო მეურნეობაში სატვირთო ავტომობილების გამოყენების ეფექტურობის ამაღლების თაობაზე მთავრობის დადგენილების შესასრულებლად, არ აწარმოებენ წვრილი ავტომეურნეობების გამსხვილებასა და სამეურნეო ანგარიშზე მათ გადაყვანას, ჯერ კიდევ არასაკმარისად უკეთებენ ანალიზსა და უწევენ კონტროლს სატვირთო ავტოსატრანსპორტო მუშაობას.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილებით ავტოტრანსპორტის მუშაობის აღრიცხვის მოუწესრიგებლობის, მისი ექსპლოატაციისადმი სათანადო კონტროლის დაუწესებლობისათვის და სხვა დარღვევებისათვის „საქმონტაჟსპეცმშენის“ ავტოტრანსპორტისა და მექანიზაციის ქუთაისის სამმართველოს უფროსს ა. კაკაურიძეს, „აჭარსოფლტექნიკის“ ბათუმის № 5 ავტოსატრანსპორტო საწარმოს უფროსს ა. ხალვაშს, გაზის აპარატურის სოხუმის ექსპერიმენტალური ქარხნის დირექტორის მოადგილეს ლ. ბაბილუას (ამავე ქარხნის მთავარ ინჟინერს ა. სეისიანს მიეთითა), „საქკონსერვხილბოსტანის“ სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ავტოგარაჟის უფროსს ი. ტაბლიაშვილს, „საქსოფლტექნიკის“ ზუგდიდის № 8 ავტოსატრანსპორტო საწარმოს უფროსს ტ. ჯლარკავას და ტრესტ „საქნავთის“ ლილოს ავტოსატრანსპორტო კანტორის უფროსს გ. ტუხაშვილს გამოეცხადათ საყვედური.

# ყველა ჯგუფი რომ აქტიურად მუშაობდეს...

სკპ XXIV ყრილობამ მთავარ ამოცანად მშრომელთა კეთილდღეობის არსებითი გაუმჯობესება დასახა. ამ ამოცანის შესრულებაში მნიშვნელოვანი როლი ვაჭრობას ეკუთვნის. ვაჭრობის წინაშე დიდი და სერიოზული ამოცანები დგას ახალ ხუთწლედში: ქსელის გაფართოება, საქონელბრუნვის გადიდება, მუშაობის დონის ამაღლება, ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესება, თანამედროვე მეთოდების დანერგვა.

სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები მოწოდებული არიან განახორციელონ კონტროლი უშუალოდ სავაჭრო ორგანიზაციებში, საწარმოებში, ბაზებში, ქმედითი დახმარება გაუწიონ პარტიულ ორგანიზაციებსა და ადმინისტრაციას ვაჭრობის წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებაში, ისეთი ვითარების შექმნაში, რომელიც გამორიცხავს სახელმწიფო დისციპლინის დარღვევას, უყაირათობას, მფლანგველობას, სავაჭრო წესების დამახინჯებას.

ზოგიერთი ჯგუფი ამ მიმართულებით გარკვეულ მუშაობას ეწევა. აი რამდენიმე მაგალითი: თბილისის № 1 ცენტრალური უნივერმაღის სახალხო კონტროლის ჯგუფი პერიოდულად აწყობს რეიდებსა და შემოწმებებს, გამოვლინებულ ნაკლოვანებებზე ახსნებს ადმინისტრაციას და პარტიულ ორგანიზაციას, ხშირად კი თვითონაც ახორციელებს ცალკეულ ღონისძიებებს.

გასულ წელს კონტროლიორებმა შეამოწმეს ვაჭრობის წესების დაცვა, ფონდების ათვისების მდგომარეობა, წუნმდებლების საქმიანობა, საკასო აპარატების მუშაობა, ინვენტარიზაციის ხარისხი, შრომის დისციპლინა, წყლისა და ელექტროენერგიის ხარჯვა, განცხადება-საჩივრების განხილვა. მათ წერილი გაუგზავნეს ივენის ელექტროტექნიკური ქარხნის ხელმძღვანელობას საქონლის თავის დროზე მოუწოდებლობის გამო.

უნივერმაღმა 1971 წელი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა. საქონელბრუნვის გეგმა შესრულდა 276 ათასი მანეთის გადაჭარბებით, ზეგეგმითმა მოგებამ 294 ათასი მანეთი შეადგინა, მიმოქცევის ხარჯებში მიღებულია 196 ათასი მანეთის ეკონომია, თვითმომსახურების წესით შეძენილ იქნა 5 მილიონი მანეთის საქონელი. ამ მიღწევებში, უდავოდ, სახალხო კონტროლიორთა წვლილიც არის.

გარკვეულ მუშაობას ეწევა № 1 თბილკვებვაჭრობის სახალხო კონტროლის ჯგუფი. 1971 წელს აქ შესწავლილ და განხილულ იქნა საკითხები: საქონელბრუნვის გეგმის შესრულება, წუნდებულ საქონელზე შედგენილ აქტებზე რეაგირება, სასაქონლო ანგარიშების შედგენის სისწორე, ტარის აღრიცხვა-ჩაბარება, სატრანსპორტო ხარჯები, მატერიალურად პასუხისმგებელი პირების შევსებულებაში გაშვების წესების დაცვა და სხვ. ამასთან აქაური კონტროლიორები საკმაოდ ღრმად სწავლობენ ზოგიერთ საკითხს და აღწევენ გარკვეულ ეფექტურობას. მაგალითად, მათ შეამოწმეს რძის კომბინატთან სატრანსპორტო ხარჯების ანგარიშსწორება და გამოირკვა, რომ ვაჭრობას ორი წლის განმავლობაში ჰქონდა 16.600 მანეთი ზარალი. კონტროლის ჯგუფის ჩარევის შედეგად ეს ზარალი ანაზღაურდა.

მაგრამ სახალხო კონტროლის ჯგუფები ყველგან ასე ნაყოფიერად როდი მუშაობენ. ზოგან მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან მინდობილ საქმეს.

ვაჭრობის სისტემაში არსებული სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების დიდი ნაწილის მუშაობაში მთავარი ნაკლი ის არის, რომ ისინი ჯერ კიდევ თავიანთ ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში არ წარმართავენ, რომ კადრებს დროულად ააცილონ თავიდან შეცდომები და ნაკლოვანებანი მუშაობაში, რომ მიაღწიონ გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების ერთი ნაწილი აქტიურად არ იბრძვის ვაჭრობის წესების დარღვევის, მომხმარებელთა ზომა-წონასა და ფასებში მოტყუების, უფაქტურო საქონლით ვაჭრობის, დეფიციტური საქონლის გადამალვის წინააღმდეგ, დამრღვევთა მიმართ არ იყენებს დებულებით მინიჭებულ უფლებებს.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ვაჭრობის წესების დარღვევის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის სურვილს არ იჩენენ სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების ცალკეული ხელმძღვანელები. ცხადია, ასეთ ვითარებაში ძნელია კადრების სწორად აღზრდა, მათი პასუხისმგებლობის ამაღლება.

კალინინის რაიონის „თბილგასტრონომვაჭრობის“ მაღაზიების ქსელის სახალხო კონტროლის ჯგუფს გასულ წელს ვაჭრობის შესახებ დარღვევის არც ერთი შემთხვევა არ გამოუვლენია. ჯგუფი თითქოს მუშაობს, გეგმებს ადგენს, მუშაობის აღრიცხვაც აქვს. მაგრამ ამოწმებს მხოლოდ ერთ და იმავე საკითხებს: სანიტარულ მდგომარეობას, საქონლის გამოწყობას, პრეისკურანტების არსებობას, მაღაზიების დროზე გაღებას, თანამშრომლების გამოცხადებას. ცხადია, კონტროლიორებმა ამ საკითხებსაც უნდა მიაქციონ ყურადღება, მაგრამ ამასთან არ უნდა გამორჩეთ სხვა პირველხარისხოვანი საკითხები.

არც „თბილტანსაცმოსვაჭრობის“ პირველი მაისის რაიონული ქსელის სახალხო კონტროლის ჯგუფს გამოუვლენია 1971 წელს ვაჭრობის წესების დარღვევა. ცხადია, იმიტომ კი არა, რომ დარღვევები არ იყო.

ყველაფრით ჩანს, რომ ჯგუფებმა აქ ისეთი გეზი აიღეს, რომ იოლად გავიდნენ, როგორც იტყვიან, არც მწვადი დაწვან და არც შამფური, ესე იგი არც არავის აწყენინონ და არც უსაქმურებად მოგვევლინონ. მაგრამ ასეთი პოზიცია საქმეს არ არგებს, კადრების სწორად აღზრდას არ ემსახურება.

სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები მოწოდებული არიან არა იმისათვის, რომ თვალი აარიდონ ნაკლოვანებებსა და დარღვევებს, არამედ გამოიჩინონ სიფხიზლე და დროზე შენიშნონ ისინი, რომ მსგავს შემთხვევებს ადგილი არ ჰქონდეს შემდგომში. უამისოდ დარღვევებს ბოლო არ მოეღება, პირიქით, გაიზრდება.

ზოგიერთი კონტროლის ჯგუფი მუშაობაში დღემდე არ იჩენს აქტივობასა და პასუხისმგებლობას, არ ეუფლება საკონტროლო საქმიანობას, არ აწყობს მოულოდნელ რეიდებს. მათი საქმიანობა ხშირად განისაზღვრება მხოლოდ რამდენიმე მეორეხარისხოვანი საკითხებით, მუდმივ კონტროლს არ ახორციელებენ ვაჭრობის გაუმჯობესებისათვის პარტიისა და მთავრობის დადგენილებების შესრულებაზე, ჯეროვან ყურადღებას გარეშე რჩებათ ისეთი საკითხები, როგორიც არის საქონელბრუნვის გეგმების შესრულება, ვაჭრობის წესების დაცვა, მიმოქცევის ხარჯები, საკონტროლო-სარევიზიო აპარატის მუშაობა, მომხმარებელთა მომსახურების კულტურა, სოციალისტური ქონების დაცვა.

არის ისეთი სახალხო კონტროლის ჯგუფებიც, რომლებიც საქმით არ განასახიერებენ კოლექტიურ ორგანოს. ეს დიდი ნაკლია, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. ჯგუფი მარტო იმისათვის კი არ უნდა იკრიბებოდეს სხდომაზე, რომ გეგმა დაამტკიცოს, არამედ განიხილოს უმნიშვნელოვანესი შემოწმების შედეგები, შეიმუშაოს წინადადებები და რეკომენდაციები. სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე შემოწმების მასალებს ერთპიროვნულად კი არ უნდა გადასცემდეს ადმინისტრაციას, პარტიულ ორგანიზაციას ან სხვა რომელიმე ორგანოს, როგორც მეტწილად კეთდება, არამედ ჯგუფის დადგენილებით და რეკომენდაციებით.

ზოგიერთი სახალხო კონტროლის ჯგუფი, როგორც ზემოთ ითქვა, არ იყენებს დებულებით მინიჭებულ უფლებებს. თავის კრებაზე არ იბარებს იმ პირებს, რომლებმაც დაუშვეს დარღვევა, უყაირათობა, არ ისმენს მათ განმარტებებს, არ უცხადებს საზოგადოებრივ გაკიცხვას, არ ავალებს გამოიძიონ კოლექტივის წინაშე ცნობით ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად მიღებული ზომების შესახებ.

სახალხო კონტროლის კომიტეტებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ ეს ნაკლოვანებანი და მეტი ყურადღება დაუთმონ ვაჭრობის სისტემაში შექმნილ ჯგუფებსა და საგუშაგოებს, განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი მათი მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის.

მოწინავე პარტიული ორგანიზაციების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სახალხო კონტროლის ძირეული რგოლი უკეთ მუშაობს იქ, სადაც უზრუნველყოფილია სახალხო კონტროლიორებისადმი მუდმივი პარტიული ხელმძღვანელობა, საკონტროლო მუშაობის სწორი კოორდინაცია, სადაც პარტიულ კრებებსა და ბიუროებზე პერიოდულად განიხილავენ სახალხო კონტროლის საქმიანობას, ასევე ჯგუფებსა და საგუშაგოებში არჩეული კომუნისტების ანგარიშს.

**ვ. ჯანჯღავა,**
თბილისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე.

**სახალხო კონტროლის სისტემის საფუძველს, მის მთავარ ძალას შეადგენენ ჯგუფები და საგუშაგოები.**

# თვალს ერთი ხეც დააკლდება

## ვიზრუნოთ მშობლიური ქალაქის სიკეთისა და სილამაზისათვის

ქალაქ ზუგდიდის მშრომლები, მისი პარტიული და საბჭოთა მუშაკები დიდ შრომას ხარჯავენ ქუჩების, სკვერების, ეზოების გასალამაზებლად და გასამწვანებლად. ეს ზრუნვა ატყვია კიდეც აქაურობას. იშვიათად რომ მწვანე ნარგავებით ასე დამშვენებული სხვა ქალაქი მოიძებნოს, როგორც ზუგდიდია. მარტო ბოტანიკური ბაღი რად ღირს თავისი უნიკალური ასწლოვანი ხეებით! თვალს ახარებს პოეტ რაფიელ ერისთავის ინიციატივით შუაგულ ქალაქში გაშენებული ჭადრების ხეივანი და იქ გადმოყვანილი მოჩუხჩუხე წყარო.

ბოტანიკურ ბაღსა და ჭადრების ხეივანს უმცროს ძმებად გვერდში ამოუდგნენ ქალაქის ახალგაჭრილი ქუჩების ორივე მხარეს დარგული ათეულათასობით ძირი ფოთლოვანი და მარადმწვანე მცენარეები — ხეივნები, გაზონები, სკვერები, ახალი შენობების ეზოებში თავს იწონებენ ტანაშოლტილი ნაძვები, ვერხვები, ჭადრები...

ყველაფერი ეს კარგია. მაგრამ საწყენი და სამწუხაროა, რომ ყველა ზუგდიდელი ერთნაირი გულისტკივილით არ ეპყრობა მშობლიური ქალაქის გამწვანება-განაშენიანების საქმეს. არაიშვიათად შეხვდებით ქალაქის ქუჩებში მოთარეშე პირუტყვს, რომელიც აფუჭებს ახალგაზრდა ნარგავებს.

სამარცხვინოა ისიც, რომ მოქალაქე ეზოში ჩეხავს უნიკალურ ხეს, რომელიმე შემოსავლიანი კულტურის გაშენების მიზნით და იმაზე კი არ ფიქრობს, რომ ლაღად გაშლილი ეს მცენარე რა სილამაზეს მატებს გარემოს, რა სასარგებლოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ზოგი იქამდეც მიდის, რომ ახალი წლის წინა დღეებში მიიპარება ბაღში ან სკვერში და ქურდულად ჭრის ტანაყრილ ნაძვს.

ზოგჯერ ქალაქის ხელმძღვანელებიც ცოდავენ. ამ სამიოდე წლის წინათ ბოტანიკურ ბაღში ძვირფასი მარადმწვანე მცენარეები აჩეხეს, რომ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზუგდიდის სასწავლო საკონსულტაციო პუნქტი აეშენებინათ. ნუთუ სხვა უფრო მოხერხებული ადგილი ვერ გამოინახა მის ასაშენებლად? ამ მდგომარეობამ სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია.

მაგრამ მარტო ბაღები, სკვერები, მარადმწვანე მცენარეები ხომ არ ამშვენებს ქალაქს. მის სილამაზეს აკეთილშობილებს ქალაქის არქიტექტურული მთლიანობა, შენობების და მათში მოთავსებული ორგანიზაციების განლაგების სტრუქტურა. სამწუხაროდ, აქაც გვხვდება დარღვევები.

ქალაქის მოედანზე სამსართულიანი შენობის პირველი სართული საქვაჭრობის ზუგდიდის განყოფილების „გასტრონომს“ უჭირავს. პირველ ხანებში თვალს ახარებდა მისი, როგორც გარეგნული, ისე შიდა სილამაზე. მაგრამ ერთ დღეს „გასტრონომს“ ეს შნო და ლაზათი დაუკარგეს, შუაზე გატიხრეს და ერთი სავაჭრო ობიექტი ორად გაჰყვეს. რატომ? პასუხს არავინ იძლევა.

უფრო მეტიც. იმ სახლში 18 ოჯახი ცხოვრობს. მობინადრეთა ბავშვებს ეზოში, შენობის გვერდით ფრენბურთის მოედანი ჰქონდათ მოწყობილი და ლაღად ერთობოდნენ. მავთულის ბადით შემოკავებული ეზო ახალგაზრდა ხე-მცენარეებით არის გამწვანებული. ამ ერთი წლის წინათ აქ მოვიდნენ საქვაჭრობის ზუგდიდის განყოფილების მუშაკები, მავთულბადის ღობე გაარღვიეს, ორი ძირი ტანაშოლტილი ახალი ნაძვი მოჭრეს, მოიტანეს სავაჭრო ფარდული და ამ ეზოში ჩადგეს, ისე რომ მობინადრეებს არაფერი ჰკითხეს.

„გასტრონომის“ გვერდით „გასტრონომული“ ფარდული? განაწყენდნენ მობინადრენი. იმ 2 ძირი მშვენიერი ნაძვის აჭრამ ბევრს თვალი აუცრემლა. ქალაქის ხელმძღვანელ მუშაკებს ეცნობათ ეს ამბავი. მათ ფაქტი ადგილზევე ნახეს, ფარდული კი ისევ იმ ადგილას დგას და ვაჭრობს. მერე და ვისთვის არის ეს საჭირო? ამ ფარდულშიც ხომ ის პროდუქტები იყიდება, რაც „გასტრონომში“.

ქალაქი ზუგდიდი დაქსელილია სავაჭრო ობიექტებით. ეს საჭიროც არის, რადგანაც ყოველწლიურად იზრდება მშრომელთა მოთხოვნილება სამრეწველო და სასურსათო საქონელზე. მაგრამ ყველაფერში საჭიროა ზომიერება. ზუგდიდში ამ ბოლო წლებში ბევრი ახალი შენობა გადაეცა საექსპლოატაციოდ. ყველა მათი პირველი სართული მაღაზიებმა დაიკავა, მაშინ როდესაც ზოგიერთი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება დღემდე უვარგის, შეუფერებელ ბინებშია თავშეფარებული. მაგალითად, ქალაქის ბიბლიოთეკა სტომატოლოგიური პოლიკლინიკის გვერდით, მეორე სართულზე ავარიულ ოთახებშია მოთავსებული, მკითხველისათვის მიუწვდომელ ადგილზე.

რა იქნებოდა იმაზე უკეთესი, ქალაქის ცენტრში კინოთეატრ „საქართველოს“ გვერდით ერთ-ერთი ახალი შენობის პირველი სართული ბიბლიოთეკისათვის რომ დაეთმოთ?

ვისაც მშობლიური ქალაქი უყვარს, იგი მისი სიკეთისა და სილამაზისათვის უნდა ზრუნავდეს.

**გ. ნოდია,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.



თბილისის № 1 ცენტრალური უნივერმაღის სახალხო კონტროლის ერთი ჯგუფი ამოწმებს მიღებული საქონლის ხარისხს, მარცხნიდან — გალანტერიის სექციის გამგე შ. იაშაღაშვილი, ტრიკოტაჟის სექციის გამგე ტ. გილაური, ქსოვილების სექციის უფროსი გამყიდველი თ. ახალბედაშვილი და სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე საქონელმცოდნე ა. გოგუაძე.

ფოტო ბ. ბოგოხიასი.

# თავმჯდომარე აბარებს ანგარიშს

ტყიბული. (საკ. კორ.). ამ დღეებში სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის სხდომაზე მოისმინეს ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარის გ. არაბიძის ანგარიში.

სახალხო კონტროლის 4 ჯგუფი და 2 საგუშაგო, რომლებიც ფაბრიკაშია შექმნილი, აქტიურ მუშაობას ეწევა გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სწორედ ამის შედეგიც არის ის, რომ უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე გამამდიდრებლებს მომხმარებლისაგან რეკლამაცია არ მიუღიათ.

სახალხო კონტროლიორები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ წარმოების რეზერვების ამოქმედებას, ავტომატიზაციას, ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებისა და მოდერნიზაციის საქმეს. მათი აქტიური ჩარევისა და პირადი მონაწილეობის შედეგად მოდერნიზებულ და ავტომატიზებულ იქნა დამლექი აგრეგატები, დამონტაჟდა გაუმჯობესებული ტიპის ჰიდროციკლები. სახალხო კონტროლიორ თ. ბირკაძის წინადადებით რკინიგზის ვაგონებში საკოქსე კონცენტრატის ჩასატვირთავად გამოიყენეს ლენტური კონვეიერი, რითაც 8-10 წუთით შემცირდა თვითეული ვაგონის ჩატვირთვის დრო. კარგი შედეგი გამოიღო სახალხო კონტროლიორ პ. კუბლაშვილის წინადადებამ, რომელიც საშუალო პროდუქციის განმეორებით გამდიდრებას ითვალისწინებს. ამ ეფექტური ღონისძიების გატარებამ წარმოებას წელიწადში 26.600 მანეთი ეკონომია მისცა. საგუშაგოს წევრ ი. ვარდოსანიძის წინადადებით ადგილზე დაამზადეს ტრანსპორტიორის მომხვეტი სექციების შემაერთებელი სათადარიგო ნაწილები, რამაც წელიწადში ფაბრიკას მისცა 800 მანეთამდე ეკონომია.

ფაბრიკაში მოწყობილია სტენდი „სახალხო კონტროლიორები მოქმედებენ“, რეგულარულად გამოდის იუმორისტული ფურცელი „ანკესი“.

ამასთანავე სახალხო კონტროლის ჯგუფის ბიუროს მიუთითეს ნაკლოვანებებზე. ითქვა, რომ სახალხო კონტროლიორები მასობრივად არ მონაწილეობენ რეიდებში, ფაბრიკის მთელ რიგ საამქროებში მაქსიმალურად არ არის გამოყენებული წარმოების რეზერვები, სისტემატურად არ იწვევენ ჯგუფის წევრთა შეკრებებს, დამაკმაყოფილებლად არ არის დაყენებული კონტროლიორთა სწავლების საქმე.

სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა დასახა ღონისძიებანი სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრთა და საგუშაგოების აქტივობის კიდევ უფრო ასამაღლებლად.

# კონტროლიორთა თათბირი

ცაგერი. (საკ. კორ.). ამ დღეებში გაიმართა სახალხო კონტროლის ჯგუფების ახლადარჩეულ თავმჯდომარეთა რაიონული თათბირი.

მოხსენება „სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების ანგარიშგება-არჩევნების შედეგები და კონტროლიორთა ახალი ამოცანები“ — გააკეთა სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ დ. სვანიძემ.

სახალხო კონტროლის ჯგუფების მუშაობის ფორმების, მეთოდების, დაგეგმვისა და გატარებული ღონისძიებების აღრიცხვის შესახებ ისაუბრა სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის საორგანიზაციო მუშაობის შტატგარეშე განყოფილების გამგემ შ. გუგავამ.

# ფხიზელი თვალი

აბაშის რაიონის ნორიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული სახალხო კონტროლის ჯგუფი, რომლის თავმჯდომარეა ნ. ბოკუჩავა, ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საკოლმეურნეო დოვლათის შესანარჩუნებლად.

კონტროლიორებმა განსაკუთრებით სიფხიზლე გამოიჩინეს მოსავლის აღების პერიოდში, ბრძოლა გამოუცხადეს საკოლმეურნეო ქონების დამტაცებლებს და ამით უზრუნველყვეს მოსავლის უდანაკარგოდ აღება.

ამჟამად სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრებს ხშირად ნახავთ მეცხოველეობის ფერმებში. სისტემატურად ამოწმებენ პირუტყვის გამოზამთრების მდგომარეობას, საკვების ხარჯვას და სასწრაფო ზომებს იღებენ შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ზოგ ბრიგადაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შენახვას და მოვლას ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა, სათესები, გუთნები ღია ცის ქვეშ იყო. სახალხო კონტროლის ჯგუფმა გამგეობის წინაშე დააყენა საკითხი სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების მოვლა-პატრონობის მდგომარეობის შესახებ. ამან კარგი შედეგი გამოიღო. ამჟამად ტექნიკა სათანადოდ მოვლილი ინახება გადახურულში.

სახალხო კონტროლის ჯგუფისა და საგუშაგოების წევრები სისტემატურად ამოწმებენ ბრიგადებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების განხორციელების მდგომარეობას.

**ივ. თოფურია.**

# მოვუაროთ ძეგლებს

ახმეტის რაიონის სოფელ მატანში შემაღლებულ ადგილზე აშენებულია შუა საუკუნეების ცნობილი ძეგლი ციხე-გალავნითა და მცირე ეკლესიით, უყურებთ და ამაყობთ მისი სიმტკიცითა და სილამაზით, ფიქრობთ, რამდენი ჩვენი წინაპრის სიცოცხლე გადაურჩენია მის კედლებს ძნელბედობის ჟამს.

ძეგლი ძლიერ დაზიანებულია, მის შესაკეთებლად არავინ ზრუნავს. პირიქით დიდი ოსტატობით ნაშენი გალავნის სათოფურებს ხის საყრდენები გამოაცალეს და ჩამოქცეული ხისა და ქვის მასალა სამეურნეო საჭიროებისათვის გამოიყენეს.

სოფელს წყლის გაყვანა დასჭირდა, ზედ ეკლესიის ძირში გათხარეს თხრილები... რამდენჯერმე სულ ახლოს მშენებლობის საჭიროებისათვის დინამიტი ააფეთქეს და დასუსტებულ ეკლესიის კედლებს მეტიც არ უნდოდა, მათი ნაწილი დაიბზარა და ჩამოიქცა.

კულტურის ძეგლებს მოვლა-პატრონობა, ყურადღება და სიყვარული სჭირდება. თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ მის თვითეულ ჩუქურთმას, ფრესკას, წარწერას. სულ ახლახან გამოქვეყნდა მეტად მნიშვნელოვანი დადგენილება ისტორიული ძეგლებისადმი განსაკუთრებული ყურადღებისა და მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების შესახებ, რაც ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ როგორ ზრუნავენ ჩვენი პარტია და მთავრობა ეროვნული საუნჯისათვის.

ვფიქრობთ მატნელები საქმით უპასუხებენ ამ დიდ ყურადღებასა და ზრუნვას.

**გ. ფურცელაძე,**
მხატვარი.

# საწვავს ასე უყაირათოდ ხარჯავენ

საჩხერე. (საკ. კორ.). სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა იმსჯელა ტრაქტორების გამოყენების, საწვავ-საზეთი მასალების ხარჯვის საკითხზე.

გამოირკვა, რომ ტრაქტორები სრული დატვირთვით არ არის გამოყენებული. სოფელ გორისის კოლმეურნეობაში 1.265 ჰექტარის ნაცვლად ტრაქტორებით მოხნულია 673 პირობითი ჰექტარი. ასევე ითქმის სოფლების ჰორვილისა და ჯალაურთის კოლმეურნეობებზე.

ამავე დროს საწვავს უყაირათოდ ხარჯავენ. სოფელ ჰორვილის კოლმეურნეობამ 1971 წელს ნაცვლად 116 ცენტნერი დიზელის საწვავისა დახარჯა 171 ცენტნერი. დიდძალი საწვავი გადახარჯეს სოფლების იტავაზის, არგვეთის, გორისის კოლმეურნეობებმა. საწვავის ხარჯვას სუსტ კონტროლს უწევენ აღნიშნულ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და უფროსი ბუღალტრები — ა. არსენიძე, ჯ. ხვედელიძე, ა. ჩხიტუნიძე, ც. კიპაროიძე, ნ. დეკანოიძე, ს. კაპანაძე, გ. შუბითიძე და ნ. დეკანოიძე.

სახალხო კონტროლის კომიტეტმა დასახა სათანადო ღონისძიებანი ტექნიკის გონივრულად გამოყენებისა და საწვავის მომჭირნეობით ხარჯვისათვის.



მხატვარი ი. ქოქიაშვილი.

**პ. ჭიოკაძე.**

# რევიზიამ გამოავლინა

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელ ორგანოებში მეჯვრისხევის კოლმეურნეობიდან გაგზავნილი განცხადებების საფუძველზე გორის რაიაღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მუშაკების და კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრების მონაწილეობით მეჯვრისხევის კოლმეურნეობაში ჩატარდა დოკუმენტალური რევიზია.

შემოწმებით გამოვლინდა, რომ განცხადებაში მოყვანილი ფაქტების ერთი ნაწილი სინამდვილეს შეეფერება. მეჯვრისხევის კოლმეურნეობის საველე საწყობის გამგედ 1971 წლის 14 ივლისიდან მუშაობდა ი. მარღიშვილი, რომელსაც ადრე საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის მისჯილი ჰქონდა პატიმრობა. აქ წლების განმავლობაში ნაკლები ყურადღება ექცეოდა კოლმეურნეობის ხეხილის ბაღებში ნიადაგის დამუშავებას, რის გამოც ვერ სრულდებოდა ხილის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. მაგალითად, 1971 წელში 403 ტონის ნაცვლად მხოლოდ 166 ტონა ხილი მიეყიდა სახელმწიფოს. ნაკლოვანებანია ვენახების დამუშავების საქმეში, 49 ჰექტარი ვენახიდან ნიადაგი დამუშავებულია მხოლოდ 15 ჰექტარზე.

კოლმეურნეობის გამგეობა ზომებს არ იღებს კოლმეურნეების მიერ ზედმეტად დაკავებული მიწის ნაკვეთების ჩამორთმევისა და საკოლმეურნეო ფართობებზე მიერთებისათვის. მოსახლეობის მიერ მითვისებული 12,5 ჰექტარი დღემდე არ არის საწარმოო ბრიგადებზე მიმაგრებული.

გარდა ამისა, შემოწმებით დადგინდა, რომ კოლმეურნეობამ 1970-1971 წლებში ვერ შეასრულა სიმინდის, ლობიოს და ყურძნის წარმოების გეგმები, დაბალია საკოლმეურნეო შრომაში შრომისუნარიან წევრთა მონაწილეობა. 1970 წელს ერთი შრომისუნარიანი წევრის მიერ გამომუშავებული იყო საშუალოდ 11 კაცდღე. კაცდღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამოიმუშავა 74 კოლმეურნემ, ხოლო 1971 წლის 10 თვეში 54 კოლმეურნემ.

დარღვეულია საფინანსო დისციპლინა, დიდი თანხებია გაცემული ნაღდ ანგარიშზე მანქანის სათადარიგო ნაწილების შესაძენად. ამ მიზნით მარტო 1971 წლის სამ შემთხვევაში გაცემულია 330 მანეთი.

არასწორად არის წარმოებული ავტომანქანების საგზურები, მათში აღნიშნული არ არის ტვირთის წონა და გარბენილი ტონა-კილომეტრები. ამ მიზეზით აიხსნება ის, რომ მარტო 1971 წლის მესამე კვარტალში გადახარჯულია 442 მანეთის ბენზინი.

სათანადო ყურადღება არ ექცევა ბრიგადებში პროდუქციის შემოსავალში გატარების, დღიურების გაფორმების და ბუღალტერიაში საბუთების წარდგენის საქმეს. ამის გამო ბრიგადირები არ აწარმოებენ მოსავლის მიღების დავთრებს, დღიურებზე აწერენ ხელს პროდუქციის მიმღები და ჩამბარებელი პირები.

დარღვევებია გამოვლენებული პირუტყვის რეალიზაციის საქმეში. 1971 წლის იანვარში დაკლულია 9 სული გოჭი, რომელთა წონა გასავლის აქტებით 51 კილოგრამს უდრის, შემოსავალში გატარებულია 25,5 კილოგრამი. აღსანიშნავია, რომ ფერმებიდან გასული პირუტყვის ნომრები არ ედრება საინვენტარიზაციო ნომრებს.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის კოლმეურნეობის გამგეობა სუსტად იბრძვის, მას საკმაო დახმარებას ვერ უწევს კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფი.

**ს. სეფიაშვილი,**
გორის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე.

# მსოფლიო დღეს

## ვერსალის მსოფლიო ასამბლეის რეზოლუცია

**ვერსალი. 14 თებერვალი. (საქდესი).** ინდოჩინეთის ხალხთა მშვიდობისა და დამოუკიდებლობის მსოფლიო ასამბლეის საბოლოო სხდომაზე ერთსულოვნად მოწონებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ასამბლეა იყო ყველაზე წარმომადგენლობითი საერთაშორისო ფორუმი იმათგან, რომლებიც დღემდე გამართულა ინდოჩინეთის ხალხთა ბრძოლისათვის მხარდაჭერის მიზნით.

მისი წარმატება, ნათქვამია რეზოლუციაში, გვიჩვენებს, რომ მთელ მსოფლიოში სულ უფრო მტკიცდება იმ ბრძოლის დიდი მნიშვნელობის შეგნება, რომელსაც ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის ხალხები ეწევიან, აგრეთვე შეგნება, რომ საჭიროა ამ ბრძოლის სულ უფრო აქტიური საერთაშორისო მხარდაჭერა.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სტრატეგია, ნათქვამია დოკუმენტში, ჩიხში მოექცა. მთელ მსოფლიოში და თვით შეერთებულ შტატებში იზრდება მძლავრი მოძრაობა ინდოჩინეთის ომის წინააღმდეგ. ამიტომ პრეზიდენტი ნიქსონი კვლავ ცდილობს მოატყუოს საზოგადოებრივი აზრი, როცა აყენებს რვაპუნქტიან გეგმას, რომელსაც თან ახლავს გარკვეული მუქარა ომის შემდგომი ესკალაციისა. ეს წინადადებები სინამდვილეში სიყალბეა.

კონფლიქტის გადაჭრა, აღნიშნულია რეზოლუციაში, უნდა გამოინახოს იმ გზაზე, რომელიც სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ 1971 წლის 1 ივლისს დასახა შვიდპუნქტიან წინადადებებში, რომლებიც განმარტებულია სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის 1972 წლის 2 თებერვლის განცხადებაში.

გაერთიანებული მოქმედება საერთაშორისო მასშტაბით, აღნიშნულია რეზოლუციაში, წარმოადგენს ძალას, რომელიც საშუალებას მოგვცემს მოვიგოთ ეს ბრძოლა მშვიდობისათვის. სოციალისტური სახელმწიფოებისა და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების მრავალმხრივმა დახმარებამ, სხვადასხვა ქვეყანაში სოლიდარობის მოძრაობის განვითარებამ და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ფართო მხარდაჭერამ, აღნიშნულია რეზოლუციაში, უკვე მისცა ინდოჩინეთის მებრძოლ ხალხებს იმის საიმედო დადასტურება, რომ ისინი მარტო არ არიან ამ ბრძოლაში.

მსოფლიოს ხალხები, აღნიშნულია რეზოლუციის დასასრულს, მოქმედებენ რა შეკავშირებულად, აქტიურად შეუწყობენ ხელს იმას, რომ აიძულონ შეერთებული შტატების მთავრობა აღადგინოს მშვიდობა ინდოჩინეთში.

## ინდოჩინეთის ხალხთა მშვიდობისა და დამოუკიდებლობის მსოფლიო ასამბლეის მიმართვა

[illegible]

— ჩვენ მოვითხოვთ ამერიკის შეერთებული შტატებისაგან, რომ შეუწყვიტოს ყოველგვარი მხარდაჭერა მარიონეტულ ხელისუფლებებს, რომლებიც მან შექმნა ინდოჩინეთში და იყენებს ომისა და ნეოკოლონიალიზმის იარაღად, მიანიჭოს ინდოჩინეთის ხალხებს შესაძლებლობა — თავისუფლად გადაწყვიტოს თავისი ბედი უცხოელთა ჩაურევლად!

ვერსალი, 1972 წლის თებერვალი.

### ჰანოი — შეწყდა საბრძოლო მოქმედება

**14 თებერვალი. (საქდესი).** მთვარის კალენდრით ახალი წლის გამო განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების სარდლობის ბრძანების შესაბამისად სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა ოთხი დღით შეწყვიტეს საბრძოლო მოქმედება.

ამერიკა-საიგონის სარდლობამ გამოაცხადა, რომ მხოლოდ ერთი დღე-ღამით წყვეტს ბრძოლას სამხრეთ ვიეტნამში.

### ვაშინგტონი — აგრესორის პრეტენზიები

14 თებერვალი. (საქდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფი ისრაელის თავდაცვის მინისტრი მ. დაიანი გამოვიდა ამერიკის ტელევიზიის პროგრამით „პირით ქვეყნისაკენ“.

მისმა გამონათქვამებმა დაადასტურეს თელ-ავივის ანექსიონისტური გეგმები დაპყრობილი არაბული ტერიტორიების მიმართ და ის, რომ ისრაელის მმართველ წრეებს არ სურთ ხელი შეუწყონ პრობლემის მშვიდობიან მოწესრიგებას.

დაიანმა აღნიშნა, რომ ისრაელი აპირებს, რაც უნდა მოხდეს, შეინარჩუნოს იერუსალიმი. ისრაელმა „უნდა“ შეინარჩუნოს გოლანის მაღლობები და შარმ-აშ-შეიხი, „რომელიც იძლევა საშუალებას კონტროლი გაუწიოს სანაოსნო გზას ეილატის ნავსადგურისაკენ აკაბის ყურეში“, განაცხადა დაიანმა.

არანაკლებ ცინიკური იყო ისრაელის თავდაცვის მინისტრის პრეტენზიები იორდანიისათვის წართმეულ ტერიტორიაზე მდინარე იორდანის დასავლეთი ნაპირის გასწვრივ. რაც შეეხება ისრაელის შეიარაღებულ ძალებს, რომლებსაც ოკუპირებული აქვთ სუეცის არხის ნაპირი, დაიანმა განაცხადა, „ეს ხაზი ჩვენი თავდაცვის საუკეთესო ხაზიაო“.

### საფრანგეთმა ცნო ბანგლადეში

**პარიზი, 14 თებერვალი. (საქდესი).** საფრანგეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ცნოს ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკა, ნათქვამია ოფიციალურ ცნობაში.

### გამოჰყავთ ჯარები

დელი, 14 თებერვალი. (საქდესი). როგორც ინდოეთის პრესის სააგენტო იუწყება, ბანგლადეშში დისლოცირებული ინდოეთის ჯარების დიდი ნაწილი უკვე გამოყვანილია. ჯარების გამოყვანის პირველი ფაზა, აღნიშნავს სააგენტო, დამთავრდა 15 იანვრისათვის, როცა ბანგლადეშში დატოვა 30 ათასმა ინდოელმა სამხედრო მოსამსახურემ.

სააგენტო აღნიშნავს, რომ ინდოეთის ჯარების გამოყვანის პროცესი დამთავრდება დასახულ ვადაზე ადრე, ე. ი. 25 მარტამდე.

### ლტოლვილები ბრუნდებიან

**დელი, 14 თებერვალი. (საქდესი).** ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკაში ინდოეთიდან უკვე დაბრუნდა 7 მილიონ 900 ათასი აღმოსავლეთბენგალიელი ლტოლვილი.

10 მილიონი კაციდან, რომლებმაც თავშესაფარი პოვეს ინდოეთის ტერიტორიაზე აღმოსავლეთ ბენგალიაში დასავლეთ პაკისტანის ჯარების რეპრესიების დროს, ინდოეთში დარჩა 2 მილიონზე ცოტათი მეტი ადამიანი.

აღმოსავლეთბენგალიელი ლტოლვილების სამშობლოში დაბრუნება ვარაუდით უნდა დამთავრდეს მიმდინარე წლის თებერვლის დამლევს.

### ლონდონი — ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის

**14 თებერვალი. (საქდესი).** „ყოველგვარი მუქარისა და დაშინების მიუხედავად განვაგრძობთ გაფიცვას, სანამ კონსერვატიული მთავრობა მთლიანად არ დააკმაყოფილებს ჩვენს სამართლიან მოთხოვნებს“, — განაცხადა ინგლისის მაღაროელთა ეროვნული პროფკავშირის გენერალურმა მდივანმა ლუორენს დეილიმ.

ლონდონში გამოსვლისას მან ხაზგასმით აღნიშნა: „ჩვენ აღარ გვსურს ღატაკური ცხოვრება. გაფიცვამ გვიჩვენა, რომ მაღაროელები ახლა განსაკუთრებით არიან შეკავშირებულნი. ჩვენი ლოზუნგია — „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“.

გუშინ რადიოთი გამოვიდა დასაქმებისა და შრომის ნაყოფიერების საკითხთა მინისტრი კარი, რომელიც ცინიკურად ამტკიცებდა, მეშახტეები „მეტისმეტად ბევრს მოითხოვენო“. მან აღიარა, რომ შრომითი კონფლიქტი დიდ ზიანს აყენებს ქვეყნის ეკონომიკას, მაგრამ მიუხედავად ამისა ხაზი გაუსვა, რომ მთავრობა არ აპირებს მაღაროელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას. მინისტრი იმასაც კი შეეცადა, რომ ქვეყანაში უმუშევრობის ზრდა გაფიცული მეშახტეებისათვის გადაებრალებინა.

მაგრამ მაღაროელთა გაფიცვას სულ უფრო მეტად უჭერენ მხარს სხვა პროფკავშირები და ინგლისელი მშრომელები.

### ნიუ-იორკი — დაქირავებულთა მხეცობა

**14 თებერვალი. (საქდესი).** სამხრეთკორეელი დაქირავებულნი, რომლებიც ამერიკელ დამსჯელებთან მხარდამხარ მოქმედებენ სამხრეთ ვიეტნამში, ფართოდ მონაწილეობენ სამხრეთვიეტნამელი მშვიდობიანი მცხოვრებლების მასობრივ ჟლეტაში.

როგორც ამერიკის პრესა იუწყება, 1968 წლის 12 თებერვალს სამხრეთ კორეის დივიზიის „ვეფხვის“ ჯარისკაცებმა დაარბიეს სამხრეთ ვიეტნამის სოფელ ტანფონგის მშვიდობიანი მცხოვრებნი, დახოცეს 100-მდე სოფლელი, ძირითადად ქალები და ბავშვები.

მოწმეთა თქმით, სადამსჯელო ექსპედიციის დაწყების წინ სოფელს არტილერიის ცეცხლი დაუშინეს. შემდეგ სოფელში შეჭრილმა სამხრეთკორეელმა ჯალათებმა გლეხთა ქოხებს მსხვრევადი გრანატები დაუშინეს. გადარჩენილი და დაჭრილი მცხოვრებლები ავტომატებით დახვრიტეს.

როგორც ცნობილი გახდა, ოფიციალურმა ვაშინგტონმა ყველაფერი იღონა, რათა ამერიკის საზოგადოებრიობისათვის დაემალა სამხრეთკორეელ დაქირავებულთა ბოროტმოქმედება. „ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საიგონში ყოველთვის მალავდა სამხრეთკორეელთა დანაშაულს, რათა საფრთხე არ შექმნა კორეის ჯარების შემდგომი ყოფნისათვის ვიეტნამში და ზიანი არ მიეყენებინა ამერიკა-სამხრეთ კორეის ურთიერთობისათვის“, — აღიარებს ყოფილი ამერიკელი დიპლომატი საიგონში ჯონ მარქსი ჟურნალ „ფორინ სერვის ჯორნელის“ უკანასკნელ ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში.

ჯ. მარქსი, რომელიც ამჟამად კონსულტანტია კონგრესში, კერძოდ, აღნიშნავს, რომ პენტაგონის საიდუმლო დოკუმენტები და სენატის საგარეო საქმეთა კომისიის დოკუმენტები „აშკარად გვიჩვენებენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ფაქტიურად აფინანსებს სამხრეთ კორეის საექსპედიციო ჯარებს, რომლებიც ვიეტნამში გაგზავნეს „სეულის მარიონეტულ მმართველებზე ამერიკის ძლიერი ზეგავლენის შემდეგ“. ახლა სამხრეთ ვიეტნამში არის 50.000-მდე სამხრეთკორეელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

### პარიზი — გრიგალი საფრანგეთში

**14 თებერვალი. (საქდესი).** ძლიერმა გრიგალმა გადაუარა განვლილ კვირადღეს საფრანგეთის ზოგიერთ რაიონს, განსაკუთრებით ძლიერი იყო იგი ვანდეაში, სადაც ქარის სიჩქარე 150 კილომეტრს აღწევდა საათში.

გრიგალმა ძირფესვიანად მოგლიჯა ხეები, წააქცია ტელეგრაფის ბოძები. ელექტროქსელის დაზიანების შედეგად ბევრი დასახლებული პუნქტი დაღამებისთანავე წყვდიადმა მოიცვა. არ მუშაობს სატელეფონო კავშირი.

ლა-როშ-სიურ-იონში დაზიანდა სახლების, საზოგადოებრივ და სამრეწველო ნაგებობათა თითქმის 80 პროცენტი. წინასწარი შეფასებით, დაიღუპა თერთმეტი, დაშავდა რამდენიმე ათეული კაცი.

სტიქიური უბედურების შედეგების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოყვანილია ჯარის ქვედანაყოფები.

### დამნაშავე მიიმალა

**პარიზი. 14 თებერვალი. (საქდესი).** კლაუს ალტმანი, რომლის სახელითაც იმალება ჰიტლერელთა გესტაპოს ყოფილი უფროსი ლიონში (საფრანგეთი) კლაუს ბარბიე, გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდა ბოლივიის საპატიმროდან განთავისუფლების შემდეგ, იუწყება ფრანს პრესის სააგენტო ლა-პასიდან.

დამნაშავე უეცრად გაათავისუფლეს რამდენიმე დღის პატიმრობის შემდეგ. იგი დაპატიმრებული იყო იმისათვის, რომ „გადასახადები არ გადაიხადა“.

## აკადემიკოსი ავლიპი ზურაბაშვილი 70 წლისაა

# ადამიანი და ფსიქიკა

### ჩვენი ინტერვიუ


ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე; ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის ნამდვილი წევრი; აკადემიკოსების თარხნიშვილისა და ბეხტერევის პრემიების ლაურეატი; მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; სსრ კავშირის ნევროპათოლოგთა და ფსიქიატრთა საზოგადოების გამგეობის წევრი, საქართველოს ფსიქიატრთა და ნევროპათოლოგთა საზოგადოების ფსიქიატრიული სექციის თავმჯდომარე, მრავალი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, — აი არასრული ტიტულები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიხ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტის დირექტორის ავლიპი დავითის-ძე ზურაბაშვილისა.

ასპირანტობიდან ორი აკადემიის ნამდვილ წევრობამდე გზა მეცნიერებაში მართლაც შეიძლება შევადაროთ გზას, რაც სამხედრო პიროვნებას შეეძლო გაევლო პრაპორშჩიკიდან სარდლამდე.

დიახ, ავლიპი ზურაბაშვილი ჭეშმარიტი და ჩინებული სარდალია, ოღონდ იმ უხილავ ძალთა, რასაც მეცნიერულ აზროვნებას ვუწოდებთ. მისი საბრძოლო მოქმედების ასპარეზი ფსიქოპათოლოგიაა მთელი თავისი თანამედროვე ძირითადი მიმართულებებით; ასპარეზზეა დიდი ხნის მანძილზე უკურნებელ სენად მიჩნეული სულით ავადმყოფობა — შიზოფრენია, და მასთან, მეტწილად უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმული ფსიქოპათოლოგია. დაახევინებს თუ ვერა უკან მეცნიერება ამ სენს, — აი პრობლემა, რომლის გადაჭრაზე მუშაობს აკადემიკოსი ავლიპი ზურაბაშვილი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე. მუშაობს დღესაც, როცა მეცნიერი თავისი დაბადების შვიდ ათეულ წელს ითვლის.

ამ საიუბილეო თარიღის წინადღეებში გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების განყოფილების გამგე ვ. თორდუა ესაუბრა მეცნიერს და სთხოვა პასუხი გაეცა რამდენიმე კითხვაზე.

**კითხვა:** მთელი თქვენი ცხოვრება, შრომა, ადამიანური თვისებები, დიდად პატივცემულო პროფესორი, მაგალითია ახალგაზრდობისათვის. თქვენ გიყვართ ახალგაზრდობა, რა აზრისა ხართ მასზე?

**პასუხი:** აი ეს სულ ახალი ფოსტა გახლავთ. აი ეს წერილი იტალიიდან არის. მეცნიერ-ფსიქოპათოლოგი ლ. სან ანჯელ ანტონი მწერს: „თქვენ ხართ მთლიანი ადამიანი“. დააკვირდით, მთლიანი ადამიანი. მომხიბლა ამ განსაზღვრამ. მსურს ყოველი ჩვენი ახალგაზრდა სწორედ, მთლიანი ადამიანი იყოს.

მიყვარს ახალგაზრდობა. სხვაგვარად არც შეიძლება წარმოვიდგინოთ. იგი ჩვენი მომავალი და იმედია. მწამს იგი, მჯერა მისი. ახალგაზრდობა მუდამ ჩემი გულისთქმა იყო. თუმცა მოვხუცდი, ფარ-ხმალს მაინც არა ვყრი, ვფიქრობ მომავალზე. ახალგაზრდობის მომავალი ეს არის ერის, ქვეყნის მომავალი. ახალგაზრდა არ უნდა შეუშინდეს სიძნელეს. სიძნელემ ადამიანი ვერ უნდა დააბრუნოს. ის, პირიქით, წყარო უნდა გახდეს ადამიანის შემდგომი ენერგიული შეტევითი მოქმედებისა. ასე იყო ჩემს ცხოვრებაში. მოვუწოდებ ახალგაზრდობას, და არა მარტო მას, ცუდი და მწარე განცდები დაივიწყოს, კარგი — დაიხსომოს. ასეთი ქცევა მარტო დიდბუნებოვნობის მაჩვენებელი კი არ არის, არამედ როგორც მეცნიერება ვიტყვით, დიდი ფსიქოპროფილაქტიკური მნიშვნელობისაა. თუ მე, შვიდ ათეულ წელს გადაბიჯებულს შრომის უნარი არ დამიკარგავს და ყოველდღიურად 15-16 საათს ვმუშაობ, ეს იმის შედეგია, რომ ჩემი წარსული ცხოვრება აღსავსეა სინდისიერი გარჯით, როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი შრომით. არავისი არაფერი არ შემშურებია, მუდამ განტვირთული ვიყავი შურის უსიამოვნო გრძნობებისგან.

**კითხვა:** მაინც რა მიგაჩნიათ ძირითად მომენტად ახალგაზრდის ცხოვრებაში, რომ მან გზა არ გაიმრუდოს?

**პასუხი:** დიდი ილია ასწავლის ახალგაზრდობას, რომ ყველაზე დიდი უბედურებაა, კერძოდ ახალგაზრდობისათვის, საერთოდ — მთელი ერისათვის, როცა ახალგაზრდა კარგავს თავისი ახალგაზრდობის პერიოდს და ჯეროვნად ვერ იყენებს მას. ანდაზაა — ყველა მოსავალს თავისი დრო აქვსო: კაცმა ახალგაზრდობაში უნდა შეიძინოს ყველაფერი ის, რის შეძენაც მომავალში გაუძნელდება — ცოდნა. ახალგაზრდობაში დაკარგული დროის ანაზღაურება ძნელი ხდება, შეუძლებელიც. მხოლოდ შეუპოვარი შრომით შეძლებს ახალგაზრდა ადამიანმა — ჭაბუკმა თუ ქალიშვილმა—გაიტანოს ცხოვრებაში თავისი ღელო. ახალგაზრდა ხალხის შვილია და მისსავე სასარგებლოდ უნდა იღვწოდეს. ერთი შეცდომა, ერთი დაუფიქრებელი მოქმედება შესაძლოა საბედისწერო გახდეს. მსმენია, მხოლოდ ერთხელ შევცდი, და ეს რა დამემართა! ვიმეორებ, კრიტიკას და განსჯას მოკლებული ერთი ცდაც ხშირად დამღუპველია.

როცა ახალგაზრდობაზე ვლაპარაკობ, არ შემიძლია არ მოვიგონო ჩემი პირველი მასწავლებლები — ჩემი საყვარელი მშობლები. მათ ჩამინერგეს სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობა. არაერთხელ გავუფრთხილებივარ დედას, ერთი ლუკმა რომ გქონდეს, ამხანაგს გაუნაწილეო. ჩემი ყველაზე ნათელი მოგონება დაკავშირებულია ჩემს მშობლიურ სოფელ პოდბისხევთან. ვერ დავმალავ, რომ მე ვუყვარვარ ჩემს სოფლელებს, რადგან ისინი მაგიერს მუდამ იღებენ ჩემგან — ყველაფერზე ძვირფასს, სიყვარულს.

ვერასოდეს ვერ დავივიწყებ ჩემს საყვარელ მასწავლებელს, შემდეგში გამოჩენილ მეცნიერს პროფესორ მოსე ჯანაშვილს, შემდეგ — ჩემს უნივერსიტეტელ პროფესორ-მასწავლებლებს, რომელთა ლექციების სიკეთეს ვეზიარებოდი 18 წლის ასაკიდან, 1920 წლიდან, როცა ამ დიდი ეროვნული ტაძრის — უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი, მისი სამედიცინო ფაკულტეტისა. როგორ იქნებოდა არ მოგვესმინა დიდი ივანე ჯავახიშვილის ლექციები. მე მათ ვესწრებოდი როგორც თავისუფალი მსმენელი. ეს — მან შთამაგონა, დიდ ილიასთან ერთად, ვყოფილიყავი ჩემი ხალხის უანგარო მსახური, პატრიოტი. „ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი თუნდაც ხისაო“ მესმოდა ბ-ნ ივანეს პირიდან. დიახ, რკინის გული გულისხმობს მტკიცე ადამიანს, მორალურად მტკიცე და თავდადებულ მოქალაქეს, რომელსაც სამშობლოს ინტერესები ამოძრავებს.

ყველაზე მეტად მახარებს სინდისიერი შრომის ატმოსფერო, მართალი სიტყვა. გულახდილად გეტყვით: მიყვარს ოჯახი, ცოლი, შვილები, შვილიშვილები, მიყვარს ჩემი დაწესებულება, თანამშრომლები, თანაშემწეები. მე ვცოცხლობ ამ სიყვარულის გრძნობით, მაგრამ ჩემი ოჯახის ბედნიერებად მიმაჩნია ვითარება, როდესაც სიმშვიდე, შემოქმედებითი შრომა და კმაყოფილების გრძნობა სუფევს არა მარტო ჩემს ოჯახში, არამედ ყველგან ჩემს გარშემოც. ადამიანებს ხშირად ავიწყდებათ, რომ პირადი ბედნიერება შეუძლებელია, თუ არ იქნება საზოგადოების ბედნიერება. ეს უკანასკნელი კი ყოველი ჩვენგანის ბედნიერებაა, რადგან მის გამოჭედვაში ჩვენვე ვიღებთ მონაწილეობას.

**კითხვა:** გავეცანით თქვენი უკანასკნელი ფოსტის ერთ ნაწილს და ზოგიერთი ამონაწერი გვინდა მკითხველებსაც გავაცნოთ: ფრანგი მეცნიერი-ფსიქიატრი ევგენი მინკოვსკი მოსალოც წერილში გწერთ „ავლიპი ზურაბაშვილის შრომები რომ არა, გაგვიძნელდებოდა მუშაობა, რაიმე ფხის გამოჩენა და ბრძოლა სიმართლისათვის მეცნიერებაშიო“. „თქვენ ერთი მუშაობთ, ჩვენ, ათასი, მხარს გიჭერთო“, — გწერთ ამერიკელი პროფესორი-ბიოლოგი პერი; „ზურაბაშვილი არა მარტო დიდი მეცნიერი, არამედ აგრეთვე დიდი ჰუმანისტიც არისო“,— ვკითხულობთ დასავლეთგერმანელი მეცნიერის ფონ ბაიერის მილოცვაში; „თქვენისთანა ჰუმანისტი განსაკუთრებით საჭიროა ჩვენს აშლილ სამყაროშიო“, — გიდეპეშებთ ამერიკელი ფსიქოპათოლოგი დევიდ როზენტალი... საინტერესოა, რას იწერებიან სხვები?

**პასუხი:** კმარა, მომიტევეთ... რაც შეეხება ჩემს შემოქმედებითს ინტერესებს, მე გახლავართ ფსიქონევროლოგი, კლინიცისტი-ფსიქიატრი, ფსიქოპათოლოგი და ნეირომორფოლოგი. ამ განხრით გარკვეული დახელოვნება მივიღე მრავალი წლის მუშაობით ლენინგრადში, ბეხტერევის სახელობის ინსტიტუტში და სამხედრო-სამედიცინო აკადემიის ფსიქიატრიის კლინიკაში, სადაც ვმუშაობდი როგორც მეცნიერი-მკვლევარი და სადაც სადოქტორო ხარისხი დავიცავი. როგორც მოგეხსენებათ, 1938 წელს საქართველოში მომიწვიეს პროფესორ ასათიანის გარდაცვალების გამო და მას შემდეგ დღემდე ვხელმძღვანელობ რესპუბლიკაში ფსიქიატრიის საქმეს როგორც ინსტიტუტის დირექტორი და კათედრის გამგე. ადრე განვაგებდი ნეირომორფოლოგიის განყოფილებას აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში. მე ჩემს თანამშრომლებთან ერთად დაინტერესებული ვარ სულით ავადმყოფთა შესწავლისა და მკურნალობის პრობლემებით. ჩემი შრომებიც ამ პრობლემებს ეხება, პირველ რიგში, შიზოფრენიის პრობლემებს. ამას მიეკუთვნება ჩემი 250 შრომა, გამოქვეყნებული ქართულ, რუსულ და თითქმის ყველა ევროპულ ენაზე.

ამასთან გამოკვლევები მაქვს ფსიქოთერაპიის შესახებ. სიტყვა ყველაზე მწარე და ყველაზე ტკბილი საშუალებაა. სიტყვა შესაძლოა გახდეს ფსიქიკური ტრავმა ადამიანისათვის. ამიტომ ფსიქოთერაპიას დიდ ყურადღებას ვუთმობ. ჩემი მონოგრაფია, რომელიც ეძღვნება სულით ავადმყოფთა ფსიქიატრიის პრობლემებს, აღნიშნული იყო სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ბეხტერევის სახელობის პრემიით. ბედნიერად ვრაცხ თავს იმითაც, რომ ჩემი მასწავლებლის პრემია მხვდა წილად. ვმუშაობ ფსიქიატრიის, ფსიქოთერაპიის და ფსიქოპათოლოგიის პრობლემებზე. გარდა ამისა ვმუშაობ ნეირომორფოლოგიის, ნეიროფიზიოლოგიის, ელექტროფიზიოლოგიის, დეონტოლოგიის და ფსიქოპროფილაქტიკის საკითხებზე. და ეს მრავალი ინტერესი ემსახურება ერთ მთლიან პრობლემას — „ტვინი და ფსიქიკა“. ამ პრობლემას მიზნად აქვს დასახული უმკურნალოს ავადმყოფს, ვისაც დაუკარგავს ყველაზე სათუთი, ყველაზე დიდი საუნჯე — სულიერი ჯანმრთელობა.

**კითხვა:** რა შედეგებს მიაღწია მეცნიერებამ დღემდე ამ სფეროში?

**პასუხი:** უნდა მოგახსენოთ, რომ თუ ჩემი მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდში სულით ავადმყოფობა იყო სენი, რომლისა ჩვენ, მეცნიერნი თუ მკურნალნი, მხოლოდ მეთვალყურენი ვიყავით, ახლა ჩვენ გავხდით მისი აქტიური მკურნალნი. ახლა ასეთია დებულება: რაც შეიძლება დროულად დავსვათ დიაგნოზი და დროულად ვუმკურნალოთ.

მე გახლავართ ტვინის საერთაშორისო შემსწავლელი ორგანიზაციის (პარიზი) წევრი, ვინაიდან ვეწევი კვლევით მუშაობას ნეირომორფოლოგიის სხვადასხვა პრობლემაზე. აქ მხედველობაში მაქვს ტვინის ნატიფი სტრუქტურის შესწავლა, ესე იგი ციტოარქიტექტონიკა. მაგრამ ჩემი ძირითადი შრომები ეხება ეგრეთწოდებული სინაპსების შესწავლას, ესე იგი უჯრედთა ურთიერთკავშირს. ამ მხრივ ჩვენ მიერ შექმნილია ახალი მიმართულება — სინაპსოარქიტექტონიკა, რომელმაც ჰპოვა მსოფლიო აღიარება. ჩემი მონოგრაფია „სინაპსოარქიტექტონიკა“ დაჯილდოებულ იქნა ივ. თარხნიშვილის სახელობის პრემიით. კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო, რომ ქართული ფსიქიატრიული სკოლა ეწევა დიდ შემოქმედებითს მუშაობას, მას ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს სსრ კავშირში. ვცოცხლობ ამის სასიამოვნო შეგნებით, მახარებს ჩემი მოწაფეებისა და თანამშრომლების შემოქმედებითი წარმატებები და პერსპექტივები.

**კითხვა:** თქვენ დაინტერესებული ხართ პიროვნების ფსიქოლოგიით ანუ პერსონოლოგიით და ამასთან დაკავშირებით აგრეთვე ქართული მხატვრული ლიტერატურით. რას გვეტყვით ამის შესახებ?

**პასუხი:** ადამიანის სულიერი სამყარო მეტად რთულია, განსაკუთრებულად რთულია ადამიანის სულიერი სამყაროს ყველაზე უმაღლესი საფეხური, ესე იგი პიროვნება; აქ მხედველობაში მაქვს ადამიანის წარმოდგენები შრომაზე, მოვალეობაზე, ნდობაზე და მორალზე — სინდისზე. ჩვენს დროში დიდი ინტერესი გამოიწვია პერსონოლოგიურმა კვლევამ. ამ გზით შეიძლება დაზუსტდეს საკითხები პირველ რიგში ადამიანის მნიშვნელობის, დანიშნულებისა და მოწოდების შესახებ. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ სულიერი დაავადებების დროს პირველ რიგში დარტყმას განიცდის პიროვნება, ამიტომ პიროვნების საკითხი ჩემთვის, როგორც მკვლევარისათვის, პირველხარისხოვანი პრობლემაა.

ირკვევა, რომ პიროვნების — ამ ურთულესი აპარატის კვლევისას მეტად სასარგებლოა იმ ფსიქოლოგიური მასალის გამოყენება, რომელსაც იძლევა მხატვრული ლიტერატურა. სიამაყის გრძნობით უნდა ითქვას, რომ ქართული მხატვრული ლიტერატურა განსაკუთრებულად მდიდარია პერსონოლოგიური იდეებით. ამიტომ მე მივმართე მხატვრული ლიტერატურის პერსონოლოგიურ განხილვას და მასალა მეცნიერული ფსიქოპათოლოგიისათვის მეტად სასარგებლო და საინტერესო აღმოჩნდა.

მტკიცედ ვადგევარ იმ პოზიციას, რომ უნდა არსებობდეს მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი, ანუ შემოქმედებითი სიმბიოზი მეცნიერულ ფსიქოლოგიასა და მხატვრულ ფსიქოლოგიას შორის. აზრი ხსენებული შემოქმედებითი სიმბიოზის სასარგებლოობისა და საჭიროების შესახებ პირველად მსოფლიო ლიტერატურაში გამოთქმულია ილია ჭავჭავაძის მიერ. და მე სიამოვნებით განვაგრძობ ამ მიმართულებით კვლევა-ძიებას. მინდა, რომ ჩვენს ახალგაზრდობას მტკიცედ ახსოვდეს შოთა რუსთაველის იდეები ადამიანის მოვალეობის შესახებ; სულხან-საბას იდეები მლიქვნელ და მომხვეჭელ ადამიანთა არარაობის შესახებ, ნიკოლოზ ბარათაშვილის აზრი ადამიანისადმი ნდობის შესახებ; ილია ჭავჭავაძის დებულება წესრიგის დიდმნიშვნელოვანების შესახებ; იაკობ გოგებაშვილის მითითება, რომ ამორალობის მიკრობი ყველაზე საშინელი ინფექციაა; და ვაჟა-ფშაველას დებულება, რომ ადამიანის სინდისს ობი არასოდეს არ უნდა მოეკიდოს... ასევე შემოქმედებითად საინტერესო აღმოჩნდა ჩემთვის პერსონოლოგიური იდეები გოეთეს, შექსპირის, შილერის, დოსტოევსკის ქმნილებებში.

**კითხვა:** რას უსურვებდით ჩვენი გაზეთის მკითხველებს?

**პასუხი:** ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობას, რისთვისაც ბრძოლა საბჭოთა მეცნიერების, მედიცინის უპირველესი ამოცანაა.

# იულიანა კეპკე ჯუნგლებში

**ჩვენ უკვე ვიუწყებოდით პერუში საავიაციო კატასტროფის შესახებ, რომლის დროსაც ყველა მგზავრი დაიღუპა. გადარჩა მხოლოდ ერთი — 17 წლის იულიანა კეპკე. სასწაულებრივი გადარჩენის შემდეგ მას კიდევ განსაცდელი ელოდა წინ — ტროპიკული ტყე.**

**...თვალები** რომ ავახილე, უკვე საღამო იყო. ისევ თვითმფრინავის სავარძელში ვიჯექი, მაგრამ თვითმფრინავი აღარსად იყო. ირგვლივ არაფერი ჩანდა, გარდა უზარმაზარი ხეებისა, რომლებიც ფანტასტიკური ტაძრის სვეტებს ჰგავდნენ. და სიჩუმე. ცისკენ ავიხედე და უცებ დავინახე მაღლა, მოშრიალე ფოთლებს შორის გამომკრთალი მზის სხივი. მაშინ მივხვდი, რომ ეს ღამე კი არა მხოლოდ ტყის სიღრმის სიბნელე იყო.

ჩემი სათვალე სადღაც დაიკარგა. საათი ხუთის ათ წუთს უჩვენებდა. შევეცადე მომესაზრებინა — მაინც რა უნდა მომხდარიყო — მაგრამ თავი ძალიან მიბრუოდა. შემდეგ გამახსენდა, რომ უკანასკნელად საათს დავხედე დღის პირველ საათზე, აფეთქებამდე რამდენიმე წუთის წინ. თითქმის სამი საათი ვყოფილვარ უგონოდ! ძალიან მინდოდა ძილი. უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე და ვიყვირე: „დედა! დედა!“ ტყემ დაახშო სიტყვები და არავინ მიპასუხა.

ძლიერ მტკიოდა გვერდი. მარჯვენა სახელო შემშრალი სისხლით სხეულზე მქონდა მიკრული. ძლივს გავითავისუფლე თავი სავარძლის ქამრებისაგან. შემდეგ რამდენიმე ნაბიჯზე გავხოხდი წყლით გაჟღენთილ მიწაზე და ნელა წამოვდექი. მივხვდი, რომ შემეძლო სიარული“.

„უცებ ხეებს შორის და ვიწყე რაღაც ნათელი ლაქების გარჩევა. ეს ჩვენი თვითმფრინავის ნამსხვრევები იყო. გვერდით ეწყო ყელიანი ფეხსაცმელი, ღია ჩემოდნები, ფეხბურთის ბურთი. ტოტებზე ეკიდა კაბები, პერანგები... მე განვაგრძობდი ყვირილს „დედა! დედა!“ შემდეგ რაღაცას წავაწყდი. ეს გვამი იყო. მაღალი და ხშირი ხეები თითქმის არ ატარებდნენ სინათლეს, ამიტომ მიწაზე თითქმის არაფერი იზრდებოდა. ღედის ძებნაში კიდევ ორ ადამიანს მივაგენი და მათი არაბუნებრივი პოზებით მივხვდი, რომ ისინიც მკვდარი არიან. ყვირილი საშველად უაზრობა იყო. საჭირო იყო თვითონ დამეღწია თავი აქაურობისათვის... ბნელდებოდა. გადავწყვიტე დავბრუნებულიყავი და ჩემს სავარძელში გამეტარებინა ღამე.

...11 საათსა და 30 წუთზე ოთხმოტორიანი „მატეო პუმაკახუა“, რომელშიც 86 მგზავრი იყო, ლიმიდან აფრინდა და ოკეანეზე სპირალურად დაიწყო სიმაღლის აღება, ისე როგორც ამას აკეთებს ყველა თვითმფრინავი, რომელმაც ანდების ბარიერი უნდა გადალახოს. თავისუფალი ადგილი თითქმის არ იყო. 12 საათსა და 09 წუთზე პილოტი დაუკავშირდა რადიოშუქურას ოისენში და გადასცა, ყველაფერი ნორმალურად მიდისო.

...მაშ რა მოხდა? ახლა ცნობილია მხოლოდ ის, რომ თვითმფრინავს, რომელიც ემზადებოდა ავარიული დაჯდომისათვის, მეხმა დაარტყა, რასაც აფეთქება მოჰყვა. რადისტს დროც კი არ ეყო, უბედურების სიგნალი რომ გადაეცა... მაგრამ როგორ გადარჩა იულიანა, რომელიც 2 ათასი მეტრიდან ჩამოვარდა? როგორც ჩანს, აქ თავისი როლი შეასრულა ფიუზელაჟის ფრთებმა, რომლებმაც ლივლივით დაშვება გამოიწვიეს, ხეების ტოტებმა, სავარძლის ბალიშებმა, რბილმა ნიადაგმა, რომლებმაც დარტყმის ამორტიზირება მოახდინეს... იულიანამ მხოლოდ ლავიწის მოტეხილობა მიიღო. მეორე სასწაული თვით იულიანას უნდა მოეხდინა...

„დილით წვიმამ გამაღვიძა. ეს ნამდვილი თავსხმა იყო. სულ დავსველდი, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ მზე გამოჩნდა. რამდენიმე ხანს თვითმფრინავის ნამსხვრევებს შორის ვიხეტიალე და ვნახე კამფეტები, რომლებსაც ფრენის დროს სტიუარდესები არიგებენ, რამდენიმე ნამცხვარი და ფუნთუშა. ყველაზე მეტად წყურვილი მაწუხებდა. ამიტომ წარმოიდგინეთ, როგორ გამიხარდა, როცა ვნახე მთელი ყუთი მინერალური წყლის ბოთლებით. ამან დამიბრუნა მოსაზრების უნარი და დავიწყე ფიქრი თუ რა უნდა მეკეთებინა შემდეგ... ტყეში მთავარია არასოდეს არ დაკარგო საკუთარი ძალების რწმენა, — გამახსენდა მამის სიტყვები“.

და აი, ბორძიკ-ბორძიკით იულიანამ ჯუნგლებს მიაშურა. თავიდან უნდოდა სურსათი წაეღო თან, რადგან იცოდა, რომ წელიწადის ამ დროს ხეებს ნაყოფი არა აქვთ, მაგრამ მას პარკი არ აღმოაჩნდა, საჭმლის ხელებით ტარება კი უხერხული იყო — საჭირო იყო ბუჩქებში გაძრომა, წაქცეულ ხეებზე გადასვლა, და მამის ნათქვამიც გაახსენდა, რომ უსაჭმლოდ შეიძლება ორ კვირამდე გაძლოს კაცმა. სამაგიეროდ უწყლოდ ასეთ ნესტიან ჰავაში, სამ დღესაც ვერ გაძლებ.

იულიანას ძალიან ხშირად უფრენია ამ ადგილებზე და იცოდა, რომ ამაზონის მთელი რაიონი დასერილია მდინარეებით და თუმცა მათს წყალს საზიზღარი მურა ფერი აქვს, მისი დალევა მაინც შეიძლება. ყველაზე საშინელი უსათვალოდ სიარული იყო. იგი მიდიოდა თითქოს ბურუსში. მან აგრეთვე იცოდა, რომ ჯუნგლებში ნამდვილი საშიშროება მახრჩობელა გველები, შავი ავაზები და გიგანტური ობობები როდი არიან. გველთან ან ნიანგთან შეხვედრის რისკი თითქმის ნულს უდრის, ხოლო მილიონობით მწერის კბენის ატანა, რომლებიც დღისით და ღამით გესევიან, მრავალრიცხოვანი განაკაწრები, დატოვებული თქვენს კანზე ათასობით ეკლით, აგრეთვე მომწამლავი მცენარეების მიერ მიყენებული სიდამწვრე უფრო მძიმეა, მაგრამ ყველაზე დიდი საშიშროება ჯუნგლებში სიმარტოვეა...

მალე იულიანამ იპოვნა ნაკადული და მის კალაპოტს გაჰყვა. დასაძინებლად ბუჩქთან ჩაიკეცა,



მაგრამ მოსკიტების გამო დიდხანს ვერ დაიძინა.

„დილით კვლავ გავყევი წყალს. ცალი ხამლი დავკარგე და მალე ფეხიც დამესერა წვეტიან ქვებსა და ტოტებზე, რამაც ძალიან ძლიერი ტკივილი მომაყენა, მაგრამ მალე ღელე პატარა მდინარით შეიცვალა, რომლის ფსკერი ქვიშიანი იყო, და ტკივილი თანდათან მიყუჩდა.

საღამოს პატარა პლაჟი ვნახე და გადავწყვიტე ღამე აქ გამეტარებინა. მთელი ქვიშა ჭიანჭველებითა და ობობებით იყო სავსე. მაგრამ ძალიან დაღლილი ვიყავი, ამისათვის ყურადღება რომ მიმექცია. მეორე დღეს გზა განვაგრძე მდინარეზე, ხან ფეხით, ხან ცურვით“.

„ოდისეა“ დიდხანს გაჭიანურდა, მაგრამ იულიანა ვეღარ ამჩნევდა დროს. მისი თვალები თითქმის ვეღარაფერს ხედავდნენ. ძლიერი კონიუნქტივიტის გამო. სხეული დაკაწრული ჰქონდა ეკლებითა და მწერების ნაკბენით. მოტეხილი ლავიწის ადგილზე დიდი სიმსივნე ამოიბურცა. ყველაფერს ციებაც დაემატა.

მიდიოდა მისი „ოდისეის“ მეათე დღე. იულიანა უკვე სასოწარკვეთილებამ შეიპყრო...

„მდინარის მოსახვევში დავინახე დიდი პლაჟი. მოშორებით, პატარა მინდვრის შუაგულში კი ქოხი...“

იგი იპოვნა სამმა ინდიელმა, რომლებიც ჯუნგლებში ნადირობდნენ.

დანარჩენი ცნობილია: ნავი, რადიო და ისევ თვითმფრინავი. ახლა იულიანა სიცოცხლეს უბრუნდება.

ჟურნალი „პარი მატჩი“.
(საფრანგეთი).

• • •

სურათზე: იულიანა კეპკე მამასთან ერთად.

თეთრი ოლიმპიადა დაიხურა

# ნახვამდის, საპორო!

SAPPORO'72



**მეთერთმეტე დღე — საბჭოთა დღე! ◻ თაობათა ესტაფეტა ◻ მეხუთე, „ჰოკეის" ეტაპი ◻ საპოროს უკანასკნელი ჩემპიონი ◻ ზოგიერთი სასიამოვნო შედეგი**

მაკომანაის სპორტის სასახლის ყინულის მოედანზე დააფინეს ფართო წითელი ხალიჩები, და ერთმანეთისაგან დაშორებით დადგეს ტუმბები ციფრებით „1". „2" და „3". ცენტრალურ ტუმბოზე დადგნენ საბჭოთა ჰოკეისტები, რომელთაც ჯერ კიდევ არ გაეხადათ თავიანთი აღჭურვილობა და ციგურები. მათ ეს-ეს არის დამაჯერებლად მოიგეს გადამწყვეტი მატჩი ოლიმპიური ტურნირის მეორე ლიდერს — ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ნაკრებ გუნდს. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ევერი ბრენდეჯმა თეთრი ოლიმპიადის გამარჯვებულთა ოქროს მედლები გადასცა მათ.

როცა ამ საზეიმო ცერემონიის მონაწილენი გავიდნენ მოედნიდან, საპატიო კვარცხლბეკზე ავიდნენ ჩვენი შესანიშნავი მოთხილამურე ქალები, რომლებმაც წინა დღეს მოიგეს ამანათრბენი და კვლავ ანძაზე აღიმართა ჩვენი სამშობლოს ალამი და კვლავ აჟღერდა საბჭოთა კავშირის ჰიმნი. ოქროს ოლიმპიური ჯილდოებით დაგვირგვინდა აგრეთვე საბჭოთა მოთხილამურე ვაჟების გამარჯვება ამანათრბენში.

მაშ ასე XI ზამთრის ოლიმპიური ასპარეზობის უკანასკნელ დღეს სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ საბჭოთა დღე.

ახლა კი გამბობთ, თუ რა მოხდა საპოროს ოლიმპიურ ასპარეზზე 13 თებერვალს.

ყველა აღმატებითი ხარისხის ეპითეტი, რომლიც მაკომანაის სათხილამურო სტადიონის პრესის ლოჟაში მყოფმა ჩვენმა კოლეგებმა იხმარეს, რათა გამოეხატათ თავიანთი ემოციები 4X10 კილომეტრი ამანათრბენის უკანასკნელ ეტაპზე მოსკოველი ვიაჩესლავ ვედენინის გამოსვლის გამო, საკმაოდ ძლიერი როდი იყო. მან ამანათი თევდორე სიმაშოვისაგან მაშინ მიიღო, როცა ნორვეგიელი იოს ჰარვიკენი უკვე კარგა ხანია წავიდა წინ. სხვაობა ერთ წუთს აღემატებოდა. და თუმცა სპორტში საოცრებანი არ ხდება ხოლმე, ამ მართლაც განსაცვიფრებელი სპორტსმენის ნებისყოფამ და მიზანსწრაფვამ დაგვაჯერა ამაში. მეცხრე კილომეტრზე ვედენინი დაეწია მეტოქეს, რომლის სახელი ექსტრა კლასის მოთხილამურეთა სიაშია შეტანილი, გაუსწრო მას და როცა სტადიონის სათხილამურო ბილიკზე შემოსრიალდა, რამდენიმე ათეულ მეტრით იყო წინ. ქანცგაცლილი და ფსიქოლოგიურად გატეხილი ჰარვიკენი დაეცა და მხოლოდ იმას უყურებდა, თუ როგორ მივიდა ფინიშზე საბჭოთა მოთხილამურე.

„სეიკოს" ფირმის ზედმიწევნით ზუსტმა წამმზომებმა აღრიცხეს ოლიმპიურ ჩემპიონთა შედეგი — 2 საათი 4 წუთი და 47.94 წამი. ნორვეგიელებმა, რომლებმაც ვერცხლის მედლები მოიპოვეს, უჩვენეს 2 საათი, 4 წუთი და 57,06 წამი.

საბჭოთა გუნდმა, რომელშიც შედიოდნენ აგრეთვე მოსკოველები ვლადიმერ ვორონკოვი და თევდორე სიმაშოვი, ოლიმპიადის დებიუტანტი კიროველი იური სკობოვი, კვლავ მოიგო ოლიმპიური ოქროს ჯილდოები თექვსმეტი წლის ხანგამოშვების შემდეგ. მაგრამ 1956 წელს კორტინა დ' ამპეცოში გამარჯვებული ჩვენი კვარტეტის ორ მონაწილეს უშუალო წვლილი მიუძღვის დღევანდელ წარმატებაში. ვლადიმერ კუზინი და პავლე კოლჩინი სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელები არიან. სწორედ ესაა თაობათა ესტაფეტა.

როცა სსრ კავშირის ნაკრების ჰოკეისტები ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის გუნდთან გადამწყვეტი მატჩის წინ სავარჯიშოდ გამოვიდნენ, მაკომანაის სპორტის სასახლეში შეიტყვეს, რომ ჩვენმა მოთხილამურეებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს 4X10 კილომეტრ ამანათრბენში.

„არ უნდა წავაგოთ მეხუთე ეტაპი!" — ვიფიქრე მე, — გვიამბო შემდეგ ჩვენი ყინულის რაინდთა ვეტერანმა ალექსანდრე რაგულინმა. ამ დღეს საბრძოლოდ იყო განწყობილი ყველა ჩვენი დანარჩენი ჰოკეისტიც.

მწვრთნელებმა ა. ჩერნიშოვმა და ა. ტარასოვმა უკანასკნელ მატჩში საასპარეზოდ ასეთი შემადგენლობა გამოიყვანეს: ტრეტიაკი. ციგანკოვი-რაგულინი, ვიკულოვი-ფირსოვი-ხარლამოვი, ლუტჩენკო-რომიშევსკი, მიხაილოვი-პეტროვი-ბლინოვი, დავიდოვი-კუზკინი, მალცევი-მიშაკოვი-იაკუშევი. თადარიგში იყვნენ პაშკოვი, ვასილიევი, ზიმინი და შადრინი.

წინდაწინ ვიტყვით, რომ რაგულინს, დავიდოვს, კუზკინსა და ფირსოვს ახლა სამ-სამი ოლიმპიური ოქროს მედალი აქვთ, ვიკულოვს, ზიმინს, მიშაკოვსა და რომიშევსკის — ორ-ორი.

...ძნელი გამოვიდა ჩაბარის ჩვენმა ჰოკეისტებმა დასკვნით მატჩში. არაერთხელ იხსნა ამხანაგები ჭაბუკმა მეკარემ ტრეტიაკმა. მის თავგანწირვით ეხმარებოდნენ კარის დაცვაში არა მარტო დამცველები, არამედ ყველა თავდამსხმელიც. მსოფლიოს ჩემპიონები გაბედულად უტევდნენ, ბორტებთან ან კუთხეებში კი არ მიდიოდნენ, არამედ პირდაპირ კარისაკენ მიისწრაფოდნენ. პირველ შეხვედრებში მოპოვებულ წარმატებებში დიდი წვლილი შეიტანა ფირსოვის რგოლმა, 13 თებერვალს კი საუკეთესოდ გამოიჩინეს თავი მეორე და მესამე სამეულებმაც. სსრ კავშირის ნაკრებიდან შაიბები გაიტანეს: ბლინოვმა, მიხაილოვმა, ფირსოვმა და ორი — მიშაკოვმა: მეტოქეთაგან — მარტინეცმა და ჩერნიმ.

მეორე პერიოდის დასაწყისში ძლიერი შეტევის ჩეხოსლოვაკიის ნაკრების კარში შეგვხვდა პოლიჩეკმა.

მატჩის ანგარიშია 5:2 (2:0, 2:1, 1:1).

ცოტა ადრე კი შვედებმა წააგეს შეხვედრა ფინელებთან — 3:4 (2:1, 1:1, 0:2). მაშინ როცა ანგარიში იყო 3:2 შვედების სასარგებლოდ, მათ ხუთჯერ მოახვედრეს შაიბა ძელს. ამ დამარცხებამ „ტრე კრუნურს" მედლები წაართვა. ვერცხლის პრიზიორები გახდნენ ამერიკელი ჰოკეისტები, ბრინჯაოსი — ჩეხოსლოვაკიელები. მეოთხე ადგილზე არიან შვედები, მეხუთეზე — ფინელები მეექვსეზე პოლონეთის ნაკრები.

ესპანელმა სპორტსმენმა ფრანსისკო ფერნანდეს ოჩოამ მოიგო ოქროს მედალი ტეინის მთაზე სლალომისტთა შეჯიბრებაში, რომელშიც მონაწილეობდა ოცდაშვიდი ქვეყნის 73 სამთომოთხილამურე. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს ბიძაშვილებმა გუსტავ და როლანდო ტონიებმა (იტალია). ახლა მათ XI ზამთრის ოლიმპიური ასპარეზობის მედლების სრული კომპლექტი აქვთ — გუსტავომ ხომ ასევე ოქროს მედალი მოიპოვა გიგანტურ სლალომში.

ესპანელმა 530 მეტრი პირველი ტრასა, რომლის სიმაღლეთა სხვაობა იყო 228 მეტრი, პირველ ცდით გაიარა 55,36 წამში, ხოლო მეორე ცდით — 53,91 წამში. გუსტავო ტოენიმ ამ გზას მოანდომა 110,28 წამი და ბიძაშვილს მხოლოდ 0,02 წამით ჩამორჩა.

საბჭოთა სამთომოთხილამურე სერგი გრიშჩენკო ოცდამეოთხე იყო (122, 67 წამი). ოცდახუთი სლალომისტი დაეცა და შეჯიბრება ვერ დაამთავრა. თერთმეტმა სლალომისტმა კი დისკვალიფიკაცია მიიღო.

უმაგალითო მწვავე ბრძოლით გამოირჩეოდა ეს თეთრი ოლიმპიადა. აი მხოლოდ რამდენიმე დამახასიათებელი მაგალითი. 1000 მეტრ დისტანციაზე მოციგურავე ქალთა შეჯიბრებაში მეორე და მესამე პრიზიორები „მხოლოდ" მეასედმა წამმა „გაჰყო". მხოლოდ ორი მეასედი წამით გაუსწრო უახლოეს მეტოქეს ოლიმპიურმა ჩემპიონმა სლალომში. ელექტროწამზომებმაც კი ვერ განსაზღვრეს გამარჯვებულნი ორადგილიანი ციგებით ჩქაროსნულ დაშვებაში, და ოქროს მედლები ერთბაშად ორმა ეკიპაჟმა მიიღო. მხოლოდ 0,8 მილიმეტრით ასცდა ერთი ბიატლონისტის ტყვია, რის შედეგადაც მან მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიკავა. ვერცხლის მედალოსანს ერთი მეათედი ქულით გაუსწრო 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომებში გამარჯვებულმა...

— საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლა ოლიმპიადაზე შეიძლება წარმატებულად ჩავთვალოთ, — თქვა ჩვენს ჟურნალისტებთან შეხვედრაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ს. პ. პავლოვმა. — მათ პირველი ადგილი დაიკავეს პროგრამის ცხრა სახეობიდან ოთხ სახეობაში (ჰოკეიში, სათხილამურო რბოლაში, ბიატლონსა და ფიგურულ ციგურაობაში).

საპოროში ჩამოსული ასშვიდი საბჭოთა სპორტსმენიდან 33-მა მიიღო ოქროს მედალი (მათ შორის გუნდურ ჩათვლებშიც).

ყოველ საათს, ყოველ წუთს ვგრძნობდით სამშობლოს ზრუნვასა და ყურადღებას. საბჭოთა ადამიანების უდიდეს ინტერესს ჩვენი გამოსვლებისადმი. გვიგზავნიდნენ წერილებსა და დეპეშებს, გვირეკავდნენ ტელეფონით... ასეთი მხარდაჭერა ძალზე დაეხმარა ჩვენს ოლიმპიელებს.

— ოლიმპიური ასპარეზობა კარგად იყო მოწყობილი, — განაგრძო ამხ. პავლოვმა. — შეჯიბრების მასპინძლებმა ყველა საჭირო პირობა შექმნეს სპორტსმენთა ცხოვრებისათვის, მათი წვრთნისა და შეჯიბრებისათვის.

მადლობელი ვართ არა მარტო ჩვენი სპორტსმენებისა, რომლებმაც თავი გამოიჩინეს საპოროში, არამედ მათი სახელოვანი მწვრთნელებისაც. ესენი არიან ვ. კამენსკი, ვ. ივანოვი და ვ. ბარანოვი — თხილამურები, ა. ჩერნიშოვი და ა. ტარასოვი — ჰოკეი, ა. პრივალოვი — ბიატლონი, ს. ჟუკი — ფიგურული ციგურაობა და სხვები, — თქვა დასასრულ საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ.

სსრ კავშირის ნაკრებმა გუნდმა დანარჩენი ქვეყნების დელეგაციებს გაუსწრო არა მარტო მედლების რაოდენობით, არამედ ხარისხითაც, აგრეთვე არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში. მის ანგარიშზეა 8 ოქროს, 5 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი, 120 ქულა. აი ვინ გახდნენ ჩვენს გუნდში ოლიმპიური ჩემპიონები. ჰოკეისტები უკვე დავასახელეთ ამ რეპორტაჟში ისე როგორც ვაჟთა გუნდი სათხილამურო ამანათრბენში. ოქროს მედლები მოიპოვეს აგრეთვე ფიგურული ციგურაობის ოსტატებმა ირინე როდნინამ და ალექსი ულანოვმა, მოთხილამურეებმა გალინა კულაკოვამ, ალევტინა ოლიუნინამ და ლუბოვ მუხაჩევამ. ბიატლონისტთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ალექსანდრე ტიხონოვი, რინატ საფინი, ივანე ბიაკოვი და ვიქტორ მამატოვი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდს ასეთი მაჩვენებლები აქვს: 4-3-7 და 84 ქულა, ხოლო გასული თეთრი ოლიმპიადის გამარჯვებულებს — ნორვეგიელებს — 2-5-5 და 79 ქულა.

◻

თასში ნელა ქრება ოლიმპიური ცეცხლი... ამის წინ კი მაკომანაის სასახლეში გაიმართა თეთრი ოლიმპიადის დახურვის საზეიმო ცერემონია, ითქვა გამოსათხოვარი სიტყვები. და აი ნორჩი სპორტსმენები ისე დაიწყვნენ, რომ მოედანზე გამოჩნდა ხუთი ოლიმპიური რგოლი და წარწერა: „დენვერი-76", რითაც შეკრებილთ შეახსენეს მორიგი ზამთრის ოლიმპიური ასპარეზობის ადგილი. „მშვიდობით, საპორო! გმადლობთ!" — ამბობენ ოცდათხუთმეტი ქვეყნის სპორტსმენები, რომლებმაც აქ დაუვიწყარი დღეები გაატარეს.

ი. ვლოვინი, ვ.დვორცოვი,

ა. სტაროდუბი, ი. ხრომოვი,

• • •

**სურათზე:** ოლიმპიადის ჩემპიონი, სსრ კავშირის ნაკრები ოლიმპიური გუნდი ჰოკეიში.



ვ. ვორონკოვი.



ი. სკობოვი.



თ. სიმაშოვი.



ვ. ვედენინი.

წიგნის თარო

# კარგი სახელმძღვანელო

[illegible]

ლოები (მათ შორის თვით გ. გოლეთიანის მიერაც შედგენილი) ცალკე დარგებს მოიცავდნენ — მორფოლოგია, სინტაქსი, ქრესტომათია, გ. გოლეთიანის „რუსული ენა" არსებითად განსხვავდება ამ წიგნებისაგან. მასში თავმოყრილია და ურთიერთკავშირშია ყოველივე ის, რაც განაპირობებს რუსული ენის ღრმად შესწავლას — ფონეტიკის საკითხები, მორფოლოგია, სინტაქსი, საკითხავი ტექსტები, სავარჯიშოები. მაგრამ ეს მასალა ისე კი არ არის განლაგებული, როგორც ტრადიციულად მომდინარეობს — ჯერ ფონეტიკა და მორფოლოგია, შემდეგ სინტაქსი და ასე შემდეგ, არამედ მოცემულია მთლიანობაში და ემორჩილება რუსული ენის პრაქტიკულად დაუფლების მოთხოვნილებებს.

სამწუხაროდ, სტუდენტთა ერთი ნაწილი, განსაკუთრებით რაიონებიდან ჩამოსულნი, საკმარისად ვერ ერკვევა რუსული ენის საკითხებში, ძალზე შეზღუდულია მათი ლექსიკა. გ. გოლეთიანი კარგად იცნობს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტობას, მათი მომზადების დონეს. სწორედ ამიტომ არის, რომ წიგნის დასაწყისში იგი აშუქებს ძალზე მარტივ, მაგრამ სტუდენტობისათვის მეტად საჭირო საკითხებს. კარგად არის [illegible]

[illegible] სავარჯიშო, რომლებიც ენის კანონზომიერებათა შეგნებულად შესწავლისა და მის პრაქტიკულად დაუფლების საქმეს.

წიგნში მოცემული საკითხავი ტექსტები მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსული ენის გრამატიკის საკითხებთან. გრამატიკულ მასალას, როგორც წესი, ისეთი ტექსტი მოსდევს, რომელშიც უხვად გამოყენებულია შესწავლილი ფორმები.

მეთოდურად კარგად შერჩეული ტექსტები, გარდა ამისა, ემსახურება სტუდენტთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდისა და საერთო მომზადების დონის ამაღლების ამოცანებს. აქ შეხვდებით ტექსტებს საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომისა და სამოქალაქო ომის გმირებზე, ჩვენი ქვეყნის გმირულ წარსულზე, სახელოვან მამულიშვილებზე და სხვ.

ამ კარგ და მეტად საჭირო წიგნს გარკვეული ხარვეზებიც აქვს. გაპარულია კორექტურული შეცდომები (თუმცა ნაწილი გასწორებულია), არის ტოპოგრაფიული ხარვეზები.

დასანანია, რომ „რუსული ენა" გამოქვეყნდა ძალზე მცირე ტირაჟით (3.000 ცალი).

პროფესორი

დ. მგელაძე.

# მარსი: მტვრის ახალი ქარიშხლები

**მარსის** დიდი პირისპირდგომის წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ყირიმის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერები თითქმის ექვს თვეს აკვირდებოდნენ შორეულ პლანეტას. ამისათვის გამოიყენეს ნახევარმეტრიანი სარკიანლინზიანი ტელესკოპი, რომელზეც დადგმული იყო გრძნობიერი სატელევიზიო გადამცემი მილაკი. შუქფილტრების სისტემის მეშვეობით სპექტრის სხვადასხვა არეში მიღებული იყო მარსის ფოტოსურათები.

საკდესის კორესპონდენტი მ. ტუროვსკი შეხვდა სამუშაოთა ხელმძღვანელს ვ. კ. პროკოფიევს და სთხოვა განემარტა მიღებული სურათები.

— 1971 წლის აგვისტოში და სექტემბრის დამდეგს, — თქვა მეცნიერმა. — „წითელი პლანეტის" ატმოსფერო საოცრად სუფთა და გამჭვირვალე იყო. სპექტრის ულტრაიისფერ არეში მხოლოდ ზოგჯერ შეიმჩნეოდა ღრუბლები პლანეტის პოლარულ რაიონებში. 12 სექტემბრიდან მარსზე მოჩანს წითელი და ყვითელი ღრუბლები, რომლებიც პლანეტის ზედაპირის ცალკეულ დეტალებს ფარავენ და მოწმობენ მტვრის ქარიშხლის დაწყებას. ამ დროისათვის მარსმა გაიარა თავისი ორბიტის პერიჰელიუმი (მზიდან უმოკლესი მანძილის წერტილი), და სამხრეთ ნახევარსფეროში დაიწყო ზაფხული. პლანეტა იღებდა ორჯერ მეტ სითბოს ზამთრის პერიოდთან შედარებით.

პერიჰელიუმის გავლის შემდეგ პლანეტაზე ჩვეულებრივ ძლიერი მტვრის ქარიშხალი ამოვარდება ხოლმე. რასთან არის ეს დაკავშირებული? ჩვენი აზრით, პლანეტის ზედაპირზე სითბოს ნაკადის გადიდებასთან და ამის შედეგად წარმოქმნილი ატმოსფერული მასების ინტენსიურ გადაადგილებასთან — ქარიშხლებთან, რომელთა სიჩქარე 100 მეტრს აღემატება წამში. მარსული ქარიშხლები წინათაც იყო შემჩნეული, როგორც წესი, პირისპირდგომის დროს. 1956 წელს, მაგალითად, მტვრის ქარიშხალმა ორი კვირით დაფარა პლანეტის ზედაპირი.

1971 წელს ასტრონომები არ გაუკვირვებია ყვითელი ღრუბლების გამოჩენას. ერთ თვესაც არ გაევლო ქარიშხლის პირველი ნიშნების შემდეგ, რომ ბურუსმა დაფარა მთელი პლანეტა.

ახლა, თქვა დასასრულ პროფესორმა ვ. კ. პროკოფიევმა, მარსი დაშორდა დედამიწას 230 მილიონზე მეტი კილომეტრით. მისი მორიგი პირისპირდგომა მოხდება 1973 წლის 25 ოქტომბერს. ჩვენი წინა დაკვირვების გამოცდილება და მისი შედეგები საფუძველს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ მტვრის ქარიშხლები მარსზე დაიწყება იმავე წლის ივლისში, როცა პლანეტა გაივლის მზიდან უმოკლესი მანძილის წერტილს.

(საკდესი).

# მატჩი სპლიტში

**ბელგრადი.** 14 თებერვალი. (საკდესი). ახალ სეზონში პირველი ამხანაგური მატჩი გამართა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა სპლიტში ადგილობრივ „ჰაიდუკთან". სტადიონზე შეიკრიბა 12 ათასი მაყურებელი, რათა ენახათ იუგოსლავიის ჩემპიონებისა და სტუმრების შეხვედრა.

საბჭოთა კავშირის გუნდი, რომელმაც ახლახან დაიწყო მზადება სეზონისათვის, ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: ბანიკოვი, ძოძუაშვილი, ხურცილავა, კაპლიჩნი, ისტომინი, ანდრიასიანი (ფედოტოვი), აბრამოვი, იშტოიანი, კოპეიკინი, კონკოვი, შევჩენკო (გრეშჩაკი). სამწუხაროდ, გადაუღებელმა წვიმებმა გააფუჭა მოედანი. თითქოს მატჩი უშედეგოდ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ... 89-ე წუთზე მასპინძელთა მარცხენა გარემარბმა შურიაკმა ბურთი გაიტანა ბანიკოვის კარში. ანგარიში გახდა 1:0.

## ბელგრადში, 30 აპრილს

**იუგოსლავიის** ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ ევროპის ჩემპიონატის პირველი მეოთხედფინალური მატჩი ფეხბურთში იუგოსლავიისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის გაიმართება 30 აპრილს ბელგრადში.

## მეორე მატჩიც მოიგეს...

ორი დღის წინათ კაუნასის „ჟალგირისის" კალათბურთელებმა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის მატჩში სძლიეს თბილისის „დინამოს", გუშინ კი მეორე შეხვედრა მოიგეს, ამჯერად თბილისის „ბურევესტნიკთან".

თავიდანვე იგრძნობოდა სტუმართა უპირატესობა და ტაიმიც მათი სასარგებლოდ დამთავრდა 38:30. მეორე ნახევრის დასაწყისში თბილისელებმა შეძლეს ქულათა სხვაობის შემცირება სამამდე, მაგრამ ბოლო წუთებში კვლავ დათმეს პოზიცია და დამარცხდნენ 75:86.

ორი გასვლითი თამაშის მოგება ზედიზედ და ამით ორი ქულის შეძენამ „ჟალგირისის" სატურნირო მდგომარეობა განამტკიცა. მორიგი შეხვედრები თბილისის „დინამოსა" და „ბურევესტნიკს" ექნებათ 16 და 18 თებერვალს საკუთარ მოედანზე ჩემპიონატის ლიდერთან ლენინგრადის „სპარტაკთან".

# თბილისშიც უყვართ ძიუ-დო

**ა. კიკნაძის პრიზი — იაპონელ ს. ენდოს**

„კლასიკოსებსა და თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს არც ძიუდოისტები ჩამორჩნენ, მათაც ჰქონდათ ფორუმი თბილისში, რომელსაც მცირე მსოფლიო ჩემპიონატიც კი შეგვიძლია ვუწოდოთ. ორ დღეს მიმდინარეობდა ეს შეჯიბრება სპორტის სასახლეში, ვიხილეთ არაერთი მნიშვნელოვანი ორთაბრძოლა, რომლებიც ხასიათდებოდა მაღალი ტექნიკით, შეუპოვრობით. აქ არ შეიძლება პირველ რიგში არ ვახსენოთ იაპონელები და საესებით სამართლიანადაც, ამომავალი მზის ქვეყანა ხომ ძიუ-დოს სამშობლოდ ითვლება.

შორს არ არის მიუნხენის ოლიმპიადა. მის პროგრამაში ეხედავთ ძიუ-დოსაც. ამიტომ თბილისის ტურნირს მონაწილეთათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ძალთა მოსინჯვის, ისე მომზადების თვალსაზრისით. ბუნებრივია, ტურნირმა ცოტა მასალები როდი მისცა როგორც სპორტსმენებს, ისე მწვრთნელებს, რომლებიც გამოადგებათ შემდგომ მუშაობაში.

ხუთი წონითი კატეგორია, პლუს აბსოლუტური პირველობა — აი ასპარეზობის ორი დღის პროგრამა. სამ წონით კატეგორიაში გამარჯვებულებს ჩვენ უკვე გავეცანით. კვირას ხალიჩაზე ვხედავდით მსუბუქი და ქვესაშუალო წონის ძიუდოისტებს, აგრეთვე აბსოლუტური წონის წარმომადგენლებს.

მსუბუქი წონის ნახევარფინალში თბილისელმა ა. მარტყოფლიშვილმა სძლია საფრანგეთის მოჭიდავეს პ. ბარაკოს, ხოლო კიეველმა ს. მელნიჩენკომ დაამარცხა ჟან ჟაკ მონიე (საფრანგეთი), პირველი ადგილისათვის დასკვნითი ბრძოლა ჰქონდათ ა. მარტყოფლიშვილსა და ს. მელნიჩენკოს. ათი წუთის ნაცვლად ეს შეხვედრა 3 წუთში ამოიწურა. წმინდა გამარჯვება ს. მელნიჩენკომ მოიპოვა.

ამ წონაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა — ს. მელნიჩენკო, ა. მარტყოფლიშვილი, პ. ბარაკო, ჟან ჟაკ მონიე (მესამე ადგილი ორ ათლეტს ეწიჭება).

ქვესაშუალო წონის ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ს. ქარელი (გორი) — ვ. დვოინიკოვი (სვერდლოვსკი) და ა. ნოვიკოვი (ხარკოვი) — დ. რუდმანი (მოსკოვი). ამ წყვილებში წარმატება ვ. დვოინიკოვსა და დ. რუდმანს ხვდათ. ფინალში კი ქულებით ვ. დვოინიკოვმა გაიმარჯვა. აი პრიზიორები — ვ. დვოინიკოვი, დ. რუდმანი, ს. ქარელი, ა. ნოვიკოვი.

რა თქმა უნდა, ყურადღების ცენტრში იდგა პირველობისათვის ბრძოლა აბსოლუტურ წონაში. აქ ოცი სპორტსმენის განაცხადი იყო. მათ შორის ვხედავდით რამდენიმე იაპონელს. თითქმის ზედიზედ სამი შეხვედრა ჰქონდა სტუდენტთა შორის იაპონიის გასული წლის აბსოლუტურ ჩემპიონს ს. ენდოს. ჯერ მან სძლია თანამემამულეს, შემდეგ ნახევარფინალში მოუგო ვ. კუზნეცოვს და ბოლოს ფინალში წმინდა გამარჯვება მოიპოვა რ. ოდიშელიძესთან შეხვედრაში. აქ უძლიერესთა კვარტეტი ასე გამოიყურებოდა — ს. ენდო, რ. ოდიშელიძე (თბილისი), ვ. კუზნეცოვი (მოსკოვი), მ. მურაი (იაპონია).

გამარჯვებულებს საზეიმოდ გადაეცათ ჯილდოები. ანზორ კიკნაძემ თავისი პრიზი იაპონელ ს. ენდოს გადასცა.

ვ. გაბელია.



**სურათზე:** ანზორ კიკნაძე თავის პრიზს გადასცემს იაპონელ ს. ენდოს.

ფოტო გ. გოგოხიასი.

# იღბლიანი ბილეთებით

**ქუთაისი.** (საქ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის № 1 ამწყობ-მექანიკური საამქროს ხარატმა შ. ღიღიძემ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მე-6 გამოშვების ლატარიის ბილეთით (№ 18, სერია 125333) მოიგო მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი".

**ყვარელი.** (საქ. კორ.). ქ. ყვარელში მცხოვრებმა შ. ქაფიანიძემ 1971 წლის მეორე გამოშვების ლატარიის ბილეთით (№ 18, სერია 125333) მოიგო ავტომანქანა „მოსკვიჩი".

**ცხაკაია.** (საქ. კორ.). რ. მიხელაშვილმა სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის 20-მანეთიანი ობლიგაციით (№ 37, სერია 188187) 2.500 მანეთი მოიგო.

**ჭიათურა.** მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ავტომძღოლმა ს. ყიფშიძემ დოსააფის ლატარიის გასული წლის მეორე გამოშვების 120879 სერიის № 15 ბილეთით მოიგო ავტომანქანა „მოსკვიჩი".

შ. ჯაჯანიძე,
ქ. ჭიათურის ცენტრალური შემნახველი სალაროს გამგე.

# გუშინ, დღეს ამინდი

**დასავლეთ საქართველოში** უკვე დათბა. კვირას ღამით ბათუმში იყო 9 გრადუსი სითბო, სოხუმში, ანასეულში — 6 გრადუსი, გაგრაში — 4 გრადუსი, გეგეჭკორში კი 4 გრადუსი ყინვა აღინიშნა, ლანჩხუთში — 2, ზუგდიდში — 1 გრადუსი. დღისით ყველგან თბილოდა, ბათუმში 18 გრადუსი სითბო იყო, გაგრაში 17 გრადუსი.

**აღმოსავლეთ საქართველოში** ღამით ისევ ყველგან ყინავდა. გორში 14 გრადუსი ყინვა იყო, გარდაბანში — 13, აბასთუმანში — 10, თბილისში — 8, ლაგოდეხში, თელავში, გურჯაანში — 7 გრადუსი. დღისით კი აქაც ყველგან თბილოდა. ბაკურიანში, მაგალითად, 5 გრადუსი სითბო იყო.

თოვლი დასავლეთ საქართველოში მხოლოდ მთებში შემორჩა, ხოლო აღმოსავლეთში ყველგან თოვლი დევს. თბილისში იქ, სადაც ადამიანის ფეხი არ ხვდება, თოვლის საფარის სიმაღლე 12 სანტიმეტრს უდრის; კახეთში — 15-20 სანტიმეტრი, მანგლისში 30 სანტიმეტრი სიმაღლის თოვლი დევს.

**გუშინ,** 14 თებერვალს, თბილისში იყო ნული გრადუსი. დღის ბოლომდე კი 6 გრადუს სითბომდე ავიდა.

**დღეს,** 15 თებერვალს, **დასავლეთ საქართველოში** მოსალოდნელია მცირე მოღრუბლულობა უნალექოდ, რიონის ხეობაში იქროლებს წამში 10-15 მეტრი სიძლიერის ქარი. ტემპერატურა ბარში დღისით 13-18, ღამით 2-7 გრადუსი სითბო, მთაში დღისით 5-10 გრადუსი სითბო, ღამით 1-6 გრადუსი ყინვა.

**აღმოსავლეთ საქართველოში** უნალექო ამინდი იქნება, ზოგან ნისლი; ტემპერატურა ბარში დღისით 3-8 გრადუსი სითბო, ღამით 5-10 გრადუსი ყინვა, მთაში დღისით 1 გრადუსი ყინვა — 4 გრადუსი სითბო, ღამით 8-13 გრადუსი ყინვა.

**თბილისში** იქნება მცირე მოღრუბლულობა უნალექოდ, ტემპერატურა დღისით 6-8 გრადუსი სითბო, ღამით 4-6 გრადუსი ყინვა.

# დისერტაციების დაცვა

## საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის

სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე დისერტაციას დაიცავენ:

**29 თებერვალს მოხამედ მოხამედ ზაკი აბდელ მაქსუდ ფახმი** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„გამაახალგაზრდავებელი სხვლის გავლენა მსხლის ზრდასა და მოსავლიანობაზე".**

**29 თებერვალს ახმედ გალალ აბდელმაგიდ სალმანი** ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„სუბტროპიკული ხეხილოვანი კულტურების მავნე ენტომოფაუნის სახეობრივი შედგენილობა და ბიოეკოლოგიური თავისებურებანი საქართველოს პირობებში"**

**7 მარტს ოთარ იორამის-ძე დვალიშვილი** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„ზემო იმერეთის ტყეების ჰიდროლოგიური როლი".**

სადისერტაციო ნაშრომების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

## საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტი

თბილისი-კრწანისი, ავტობუსი № 23.

**28 თებერვალს** დღის 12 საათზე ინსტიტუტის სააქტო დარბაზში სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ალექსანდრე დიმიტრის-ძე ურდულაშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„მეცხოველეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები საქართველოს სსრ გარეკახეთის ზეგნის მარცვლეულ-მეცხოველეობის ზონაში (საგარეჯოს რაიონის მაგალითზე").**

**28 თებერვალს** დღის 2 საათზე ინსტიტუტის სააქტო დარბაზში სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ირაკლი ივანეს-ძე ლომიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ბერკშირის ჯიშისა და კახური ღორის სამრეწველო შეჯვარების ეფექტურობა შიდაკახეთის მომთაბარე მეღორეობის პირობებში".**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

# ტელევიზია

**15 თებერვალი**

პირველი პროგრამით

11.05 — მხატვრული ფილმი — „პატარა ხუტორი ველზე". 12.40 — სატელევიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა საქართველოს ნახევარი საუკუნის მატიანე" — VIII სერია — „მშვიდობის დროშით" (1946-1952 წ.). საქართველოს ტელეფილმების სტუდიის ნაწარმოები. 17.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ბიოლოგიაში, — 17.50 — ახალი ამბები, 17.55 — განცხადებები. 18.00 — ბავშვებისათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი. 18.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „ასფურცელა". 19.30 — ფერადი ტელევიზია — მღერის საქართველოს სახალხო არტისტი ო. კუზნეცოვა — (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „გლობუსი", 20.50 — გადაცემა — „იმ დღეთა მოსაგონებლად", 21.10 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა. 21.35 — ბახის კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. ასრულებს ელისო ვირსალაძე და ლენინგრადის სახელმწიფო კამერული ორკესტრი. 22.00 — „ვრემია", — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან). 22.30 — „მოუხეშავი ჭაბუკი" — სატელევიზიო სპექტაკლის პრემიერა (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

18.20 — სკოლების დასახმარებლად — ხაზვა (საამწყობო ნახაზები. მერვეკლასელთათვის), 19.05 — განცხადებები, 19.10 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია თეორიულ მექანიკაში. 20.10 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მეცნიერულ კომუნიზმში. 21.55 — სატელევიზიო ჟურნალი — „ტელევიკ-3".

**16 თებერვალი**

პირველი პროგრამით

11.05 — ლიტერატურული კითხვა, 12.05 — მხატვრული ფილმი — „ინტეგრალი". 13.20 — კინონარკვევი, 13.40 — სატელევიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა საქართველოს ნახევარი საუკუნის მატიანე". მეცხრე სერია — „ახალი მიჯნა" (1953-1958 წ.). საქართველოს ტელეფილმების სტუდიის ნაწარმოები, 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — კინონარკვევი — „ეს ყველამ უნდა იცოდეს". 18.20 — ბავშვებისათვის სატელევიზიო ჟურნალი — „კოცონი". 18.40 — განცხადებები, 18.45 — „ხუთწლედი მოქმედებაში". „შრომის მორალური და მატერიალური სტიმულირება, 19.05 — ციკლიდან „ქართული სიმღერის ოსტატები" — ელენე ჭუბაბრია, 19.30 — „საუბარი ქართულ თეატრზე". 19.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სიონიზმი უნიღბოდ" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.20 — სპორტული პროგრამა. შესვენების დროს და 20 საათსა და 30 წუთზე „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.45 — „სახალხო მსაჯული", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ახალგაზრდობისათვის — „სატელევიზიო ინტერკლუბი".

მეორე პროგრამით

18.20 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკა (ატმოსფერული წნევა). მეექვსეკლასელთათვის, 19.05 — სკოლების დასახმარებლად — ინგლისური ენა („თქვენთვის, მეექვსეკლასელებო!"), 20.50 — განცხადებები, 20.55 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ტექნიკურ ფიზიკაში, 21.40 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია პოლიტეკონომიაში, 22.25 — „კინოაფიშა".

# თეატრები

**15 თებერვალი**

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ბაქია ბაქია და კონცერტი; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — კოლმეურნის ქორწინება; რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — მოულოდნელი სტუმარი; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ნუ გეშინია, დედა!; ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სიმღერა თბილისზე.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

380008 თბილისი-8. ლენინის 14 რედაქტორის მოადგილეების — 99-98-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 04401 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.